

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 54

2020



მთ. რედაქტორი

მარი განატაშვილი

გერმანისტი, საქართველოს
მწერლთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
პრესცენტრის ხელმძღვანელი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ფ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-861-8 (54 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიის არეზიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაკადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენი 90 ტომი (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგარია ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმირილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონიდებრი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიპისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიან შესვები ყოველ შეპას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შოთარიშვალის მაბიერ

(გაგრძელება)

ზემოთმოტანილ ლექსში „ცისარტყელას ფერადი თითებით“ პოეტი პეტრის არა ამქანენიურ კოლორიტს და მკითხველს მთელი არსებით შეაგრძნობინებს ბუნების ჯადოსნური სამყაროს მშვენიერებას. ამ ლექსის სტრიქონებში მიღწეულია იმდენი ექსპრესია, რომ მეტი მიუღწევადია. ვაჟა ეგრისელმა სალექსო ხელოვნების ზღვარს გადაბიჯა...

ვაჟა ეგრისელი დიადი და ამაღლებული სული ცისკენ, მზისკენ ისწრაფვის, პოეტი ქრისტესავით ეწამება, გოლგოთასაც არ ერიდება, ოღონდ მიაღწიოს სამეუფო ცის სახლს. ჩვენს მიერ გაანალიზებული ლექსებიდან ნათლად ვხედავთ როგორ ცდოლობს პოეტი ზეციური ცხოვრების არსის ამოკითხვას და აქ, ამქვეყნად ადამიანთა ცხოვრებას შემსუბუქებას, მეტად ღრმაა და გულწრფელი ვაჟა ეგრისელის ღმერთისადმი სიყვარული. პოეტის ლოცვა უგულწრფელესია და გულმხურვალე!



„ქრისტესავით ნაწამებს
ლურსმებით და სარჭებით,
გოლგოთისკენ უღმერთოდ,
მიაჰენებ შენს დღეებს –
მზის ნალებით დაჭედილს“.

ან კიდევ:

„გულმილეულნი
მზის მოლოდინში
ფურუსულა და სხვა ყვავილი,
გრძნობენ შერხევას ვარსკვლავთ
წამწამთა.
ცამ გათენება გულში გაივლო
და აპრილივით სივრცე ამწვანდა.“

საოცრებაა ის, რომ პოეტი ელვას მოიაზრებს, როგორც წმინდა გიორგის რაშის ნალის ნაპერ-წალებს.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ფართო დიაპაზონს ქმნის არა მარტო ნიჭი და სიბრძნე, არამედ ცხოვრების დიდი გამოცდილება, უნებურად ერთი ბრძნელი ნათქვამი გამახსენდა, ცნობილ მეცნიერსა და მწერალს ელგუჯა მაღრაძეს აქვს მოტანილი ეს სტრიქონები: „ბედნიერსა და უკვდავ არსებას არც თვი-



თონ აქვს საზრუნავი და არც სხვას უქმნის, ასე
რომ მისთვის უცხოა როგორც რისხვა, ისე წყალო-
ბა, რადგან ყოველივე ამდაგვარი უძლურს ახასია-
თებს“.

როცა ეგრისელის ლექსს გკითხულობთ
გვრძნობთ მის განწყობილებას, რწმენისა და ძიების
ჟინი ჩვენც გვეუფლება, პოეტი ერთგულია სიბრძნისა
და სიამის, სიყვარულისა და გაზაფხულის. მზისკენ
სწრაფვის დიადი სურვილით პოეტმა დათრგუნა სიპ-
ვდილი. რამეთუ იქ ცაში წმინდა გიორგის რაშის ნა-
ლის ნაპერწკლები ელანდება:

„დამის სარკეში მოკამკამენი,
მზიურ სივრცეთა თანაზიარო
მთიები,
თითქოს ლურჯი ტბებია.
ცაში რომ გაკრთა,
ელვა კი არა,
წმინდა გიორგის რაშის ნალის
ნაპერწკლებია.“

პოეტს ცაში ეგულება ღმერთები „ვარსკვლავე-
ბის ოქროს ტაძრებით“. ვაუ ეგრისელის ღმერთი
სულში მიმართულ ლოცვებში უფლისთვის შინაგანი
სიმშვიდის შევედრება და გულისთქმათა დაოკების
თხოვნაა.



მაგრამ მორწმუნესათვის რელიგია უფრო იმედია, ვიდრე შვება და ჭირთა ახსნა. პოეტმა კარგად უწყის ისიც, რომ დვთისადმი უსაზღვრო ერთგულებამ ვერ დაიფარა ქართველობა ტანჯვა-ვაებისაგან. ვაჟა ეგრისელის პოეზია ერის სულის სარკეცაა და მისი ავტენითი ყოფაც. მიწიერი და ხორციელი უკვდავებისთვის მლოცველია, მისი სურვილია სიკვდილის შემდეგ მისი ფერფლი მშობლიურ მიწას გადააყარონ. პოეტის რწმუნის ნათელსაყოფად საინტერესოა შემდეგი ლექსი:

„როდესაც დამწვავს ტრფობა მამულის,
მსურს ჩემი ფერფლი ლოცვა –
კურთხევად,
მშობლიურ მიწას გადააყარონ,
რომ იგრძნოს ჩემმა ეზომ –
კურთხემაც
და მერე?
მერე მთელმა სამყარომ.“

არაერთმა კრიტიკოსმა, მეცნიერმა, თუ მწერალმა აღიარა ვაჟა ეგრისელის პოეზიის უმაღლესი ლირსებანი: „რაც და რამდენიც ვაჟა ეგრისელზე დაიწერა არცერთ მხედართმთავარზე არ დაწერილა“ – ბრძანებს ერთ-ერთი დიდი მეცნიერი. და იმისთვის რომ წარმოვიდგინოთ ვაჟა ეგრისელის ლექსთა კო-



ლორიტი, სტილი, სალექსო ხელოვნება, მიზანდასა-
ხულად მიმაჩნია მოვიტანო ერთი ლექსი:

„ზურგზე შეისვამს დღეს, ვით წიქარა, ბიჭს და
მზე მიღის... მიარღვევს დამეს და მიუბლრაობს, უკან
მიპკივის მთვარის ტახით დრო დაუნდობი, ცა გაუვა-
ლი არ უდრანი, სადაც ვარსკვლავები ბუდობენ“.

რა საოცარი ექსპრესიაა ამ სტრიქონებში. თი-
თოვეული მათგანი – სულ რამდენიმე სიტყვა – ბუნების
სრულქმნილი სურათია, მაგრამ ეს არ არის
მხოლოდ მზერით აღსაქმელი სურათები. – აქ სიტ-
ყვის ჯადოსნის ჯადოსნური ძალით შექმნილი მე-
ლოდიაა. უნბურად დიდი ვაჟა-ფშაველა გამახსენდა:

„ვიცანი დმერთო სამყარო, ეს შენი დანაბადე-
ბი!“

ვაჟა ეგრისელი ვაჟა-ფშაველასავით მორწმუნის
თვალით უცქერის მთელ კოსმიურ სამყაროს, რამე-
თუ:

„ადამის ძის ცოდვები –
გამჩენმა შეგვიწყალოს.
ჩვენთვის ლოცვებს აღავლენს
უფლის სახლი სინას მთის.
გეესხურება ცით წყარო –
მარადიულ სინათლის.“



ვაჟა ეგრისელის ყოველი სიტყვა ზეციდან წა-
მოსული ვარსკვლავთცვენაა. და დგას დიდ ვაჟასა-
ვით „ცა-ქვეუნის შუა ქედოუდრეკელ სვეტადა“.

პოეტს იზიდავს დვოიური ხმა, ლამაზი წუთები:

—ეს წუთებია დვოიური;
ხმა მესმა გრიგოლ ნოსელის,
როცა დღე დამეს დაშორდა,
შარავანდედით მოსილი
მზე იშვა —
დილის საშოდან.

დვოიური პარმონიისა და საუფლო საუნჯების
ხილვით მადლცხებული პოეტი ლოცვა-ვედრების
უიშვიათესი განცდებით გვხიბლავს, ხოლო დმერ-
თოან საუბრის უფლება მხოლოდ რჩეულთ ხელეწი-
ვებათ. რამეთუ: „დმერთოან ვალს ის, ვინც დმერ-
თით ვალს და ვინც იმასვე შესტრფის გონებით, რაც
სათნო უჩანს დმერთს“

ვაჟა ეგრისელის თითოეული ლექსი მზის სხივი-
ვით ელვარებს. ლექსი მისთვის ყველაფერია. პოეტუ-
რი ნიჭი, დვოით ბოძებული მადლი გზნებს მასში და
მადლს სწირავს სიკეთისათვის და მაინც:

„ლექსია ჩემი მცხეთაც, არმაზიც,
ლექსია ჩემი სვეტიცხოველი...“



პოეტის იდეალია „ცის ყვავილები“, უფლის
თეთრი სასახლე“, „ცისარტყელის თითები“, „ვარ-
სკვლავეთის თავთავი“, „მთვარის შადრევნები“.

დიახ, უფლის სასახლეს, მაღალ მზეს, ევლება
გაჟა ეგრისელის ამაყი და ძლიერი სული:

„დამეს ჩამოუშლია შავი თმები
ღრუბლების,
და ცას აღარ მოუჩანს,
არც თვალი და არც სახე
ელვას გადაუსხიპავს ვარსკვლავების
თავთავი.

ვიცი,
სადღაც აქვეა უფლის თეთრი
სასახლე
მთვარის შადრევნები და
მზის მაღალი სათავე“.

ვაჟა ეგრისელის მასშტაბურობა, აზრისა და
სიტყვის მონუმენტური წყობა, ურთულესი არქიტექ-
ტურა, ქართული არქიტექტურის მსგავსად, პარმონი-
ული ასიმეტრიულობა, მისთვის დამახასიათებელი
ღრმა ფერწერულობითა და წარმოსახულ ცხოვრების
ბრძნული გააზრებით მკითხველს აძლევს სკოლასა



და სტილის, უმუშავებს დეტალების გამოყვანის ხელოვნებას, საერთოსა და უმთავრესის დაუფარავად.

და მაინც, საყდრის უმანკოებითა და პირველყოფილი სურნელითაა აღბეჭდილი ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყარო სიბრძნით მორქმული, რადაც არაამქეუნიური სიდინჯითა და სიდარბაისლით ამკვიდრებს საკუთარი სულისა და გონების გენიალური იმპულსებს (ფასეულობებს) და მათი უსასრულო განვითარების მომავალ კონტურებს საუკუნეების მიღმა ჭვრებს...

ვაჟა ეგრისელმა როგორც პოეტმა ხარბად შეისუნთქა ათასწლეულის მემკვიდრეობა და მაინც უმაღლესი მშვენიერება მისი პოეზიისა ერთ გიგანტურ ყოვლისმომცველ მეტაფორაშია, რომლის ამოცნობაც ღრმა ფიქრსა და განსჯას მოითხოვს, ის ხომ იუველერის ფაქიზი ოსტატობით აღჭურვილი პოეტია, რომელიც სკრუპულოზურად აჩუქროთმებს დეტალებს.

აი თუნდაც:

„ყინვით დახეთქილ ზამთრის ბუნაგში

შუშისთვალება ზის თებერვალი –

წევრმოშეგბული და დაღვრემილი...

და ეფინება მთებს და მწვერვალებს

თოვლი –

ვითარცა უფლის ღიმილი“.



მთებზე და მწვერვალებზე განფენილი ოოვლი
პოეტის რწმენით უფლის დიმილია და ვაჟა ეგრისე-
ლის პოეტური ექსტაზი ამ ხილვისა და შუშისთვა-
ლება, წერმოშვებული, დაღვრემილ თებერვალთან
დაილოგით მიიღწეა.

სამყაროსა და ადამიანის დიდი მთლიანობის
განცდაა მის ლექსებში, ის ხომ ლაღად, მსუბუქად,
ქმნის, რაღგან გენია აწვდის იმას, რასაც მრავალნი
დიდი წვალებით მოიპოვებენ ხოლმე. დიადი ნებისყო-
ფა, სიფაქიზე და სილამაზე, მშვენიერება, ვაჟა ეგრი-
სელის პოეზიის ნერვებია, მისი მფეთქავი ძარღვებია,
რომელბიც მის შემოქმედებას კვებავენ.

უზადო ხელოვნებით გვხიბლავს ლექსი:

„შორს, უზარმაზარ დამის ტაძარში,
იისფრად,

ოდნავ ბოლავს ღრუბელი,
თითქოს ღმერთები საკმელს აკმევენ...
და ნათლად წვეთავს მთვარის კრისტალი.

ბრწყინავს ცა –

ელვის ძაფით
ნაბერი

და ვარსკვლავებით ნაგვირისტალი.“



ესაა სწორედ პროფესიონალი პოეტის ხილვა, რომლიც მთელი არსებითაა განდობილი საიდუმლო-ებასთან და პოეტურ „მე“-სთან.

ზეცის ნათელით ბრწყინვას ვაჟა ეგრისელის პოეტური საბრძანისი, უკეთოლშობილესი სულის პოეზია ნათლის სგებად დგას ქართულ მიწაზე. მის პოეზიაში ყველაფერი დვთიურია, მშვენიერებით მადლობისილი.

რელიგია, ღმერთისადმი რწმენა და სიყვარული ვაჟა ეგრისელის სულთან ერთად იღვრება მის პოეზიაში და იმედებით მსჭვალავს ყოველ მის სტრიქონს, მის ფრაზას.

უსასრულოდ შეიძლება პოეტის სტილის თავისებურებებზე და მათ მომხიბლავ უშუალობაზე საუბარო.

ვაჟა ეგრისელის ხილვა – იმედის, ნათლის, სიცოცხლისა, მარადიული გაზაფხულისა და სულის მოსათქმელია, რამეთუ:

„მაცხოვრის დგას ნათელი

და ნაფლეთი მკრთალი

ღრუბლის,

კვლავ კიდია ცის კვართივით

და...

თბილისი რომ იხილონ

ჩამორბიან ბილიკები,

მთები ცერზე შემართულან.“



და მაინც, ვაჟა ეგრისელის პოეზია ძლიერია იმ ღრმა ფესვებით, რომლებიც განუყოფლად აკავშირებენ მათ ქართულ მიწასთან, მის პირველყოფილ ძლევამოსილ სულთან, იგი თავისი შემოქმედებითა და პიროვნული, ცოცხალი იერითაც სრულიად ბუნებრივად განასახიერებს ნამდვილი ქართული სულის სიმრთელესა და დიდ მხენებას.

ოპტიმიზმი

„ფიქრები სამყაროთა წარმოშობისა და მისი რაობის შესახებ, სიცოცხლის, ვით აუხსნელი ფენომენის გააზრების კიდევ ერთი ცდა, კოსმიურ იდუმალებაში გახვეული მიწიერი სამყაროს სილამაზის გასაღების პოვნის დაუცხრომელი სურვილი — ასე აღიქმება მკითხველისაგან ვაჟა ეგრისელის წიგნი „აისბერგები“.

და მაინც, ვაჟა ეგრისელის პოეზიაში თვალშისაცემია ნოვაციები, ყოველი ლექსის თემატურ კვეთაში მოჩანს სიახლე, ოდონდ სიახლისაკენ ყოველი ნაბიჯი გადადგმულია ძველზე დაყრდნობით და არა მისი უარყოფით. ამიტომ პოეტური სტრიქონების სვეტებში ერთი შეხედვით ვერ შენიშნავ ტრადიციულ კედელზე დაშენების რაიმე კვალს, უნდა ჩაუდრმავდე, ჩაეძიო.



ვარსკვლავისმიერი შუქითაა გაჩირადდნებული ვაჟა ეგრისელის მოელი შემოქმედება და მისი ბოლო, დიდი კრებულის კაბადონი ამ დამაბრმავებული სინათლის ელვარებითაა განათებული და აპა, სადაცაა „მოვა ცისკარი ლურჯი“.

საქართველო ზღაპრული სილამაზის ქვეყანაა, ერთ-ერთი მათგანი ვის შემოქმედებაშიც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს საქართველო, მისი შესანიშნავი ხალხის სილამაზე, არის ვაჟა ეგრისელი, რომლის პოეზია ღრმადაა გამსჭვალული პატრიოტიზმით. მშობლიური მხარის სიყვარულითა და მისი ნათელი მომავლისადმი ღრმა რწმენით...

პოეტის რაინდული სულისკვეთება და მთელი მისი პოეზია ამართლებს პოეტის სიტყვებს: „სამშობლოს მტერი ბნელში შეგლისე, ვაჟა ეგრისელ!“

შეუპოვრობა, ვაჟა-ფშაველას „პაი ყმობა“. ბრძოლა და ჭეშმარიტების ღადადისი ვაჟა ეგრისელის პირვენებისა და შემოქმედების ერთნაირად დამახასიათებელი თვისებებია. პოეტის ლირიკაში ნათელი მოსავს გრძნობათა კრიალა ცას, ღრმად შეუსისხლხორცებია ილია ჭავჭავაძის დიადი შთაგონება: „ცხოვრება თვით რჯულია, იგი არ გაიჭრება ხოლმე აცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ, თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ასხლტება და ჰყვავის. მეცნიერება და ხელოვნება არა არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გა-



მოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის. იგი იძადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის. იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება... რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი ცვლის ხალხის მდგომარეობას და ცხოვრებას“.

ამ სტრიქონების წაკითხვისას და ვაჟა ეგრისელის მხატვრულ ქმნილებებთან მათი შედარებისას მტკიცედ ვრწმუნდებით, რომ ჩვენი საამაყო პოეტი დიდი მამულიშვილის, ქართველი ხალხის საყვარელი მწერლის გულწრფელი თაყვანისმცემელია და ბრძენთა ბრძენის მოსაზრებები მისთვის ტკბილსაა-მური უხვი საგზალია.

საბრძოლო ლოზუნგების ედერადობა აქვთ ვაჟა ეგრისელის იმ ლექსებს, რომლებშიც განსაკუთრებული ზიზღით, სიძულვილითაა დაგმობილი ძმა-მეგობრობის ღალატი.

ზოგი ლექსი ძმობა-ერთობის, მეგობრობის, კეთილშობილური სიყვარულის პიმნებია. თუმცა აქ ნახსენები ერთი სიტყვაც კი არ გამოუყენებია პოეტს ქავმოთ ციტირებულ ლექსში:



*

„დვთის ანაბარა დარჩენილ დედის —
ცრემლი და ოხვრა
ჩაუდის წვიმად.

(ამ ჯვრიან სვეტოან, ამ ბუჩქთან ტვიის),
იმ ქართველ ვაჟქასც,
რომელსაც სძინავს,
უდვოლო განგმირულს ქართველის ტყვიით“.

1991

გმობს რა მოღალატეს, ვაჟა ეგრისელი მეორე
ლექსში გადმოგვცემს სამშობლოს უანგარო, გულწ-
რფელ სიყვარულს, რომლითაც გამსჭვალულია ის:

*

„მა ძმას ჰქლავს... სუფევს ქაოსი,
ძნელია ამის ატანა!
და ქართულ სასაფლაოზე
დგას და ხარხარებს სატანა...
დღე არის დამით მოცული...
აბა სად, ვისთან იჩივლებ...
და მუხლმოყრილი ვლოცულობ:
სამშობლო გადამირჩინე!“

1991



პოეტის ლექსები ადასტურებენ, რომ იგი, „ვინც
თავდადებით ემსახურება თავის ქვეყანას, უდიდგვა-
როდაც დიდია“.

ვაჟა ეგრისელმა ჩაგვახედა ლირიკული გმირის
სულსა და გულში. ლექსის ლირიკული გმირის
გრძნობა განწმენდილია და გაფაქიზებული:

*

„მომხდურს კი არა, ქართველო!

ძმასა ჰყა! —

კივის დემონი.

გვაფხიზლებს ხმები წინაპართა დაფდაფებისა:

არავის ვექმოთ,

არცა ვემონოთ

გარეშე დვთისა - დამბადებლისა!“

1991

პოეტს სწამს, რომ საბოლოოდ დამარცხედება
დემონი, გაიმარჯვებს კეთილგონიერება, რისთვისაც
აუცილებელია დვთის მორჩილება, სამართლიანობა
და სათხოება. კეთილი გარდაუვლად გაიმარჯვებს,
ბოროტის დამარცხების აუცილებლობის ბრძნული
აზრი იმედგაუქრობლად სხივოსნობს ვაჟა ეგრისე-
ლის ლირიკულ ნაწარმოებებში. აქ მას მეგზურობს
ქართული პოეზიის მარადევამს გაუხუნარი მებაირახ-



ტრე შოთა რუსთაველი. „ბოროტსა სძლია კეთილმან
არსება მისი გრძელია“.

პოეტს სწამს, რომ დვთის მადლი არ გაგვწი-
რავს. მეტაფორების შთამბეჭდავი გამოყენებით მგო-
სანი ხატავს ჩვენი ხალხის მეტისმეტად მძიმე დღე-
ებს. მკითხველი ვალდებულია რომ დაღადით უთ-
ხრას ქება-დიდება პოეტს, ვინც აგვირისტებს ასეთ
სტრიქონებს:

*

„ამოდიოდა მნათი აღსავლით,
ხილვა რცხვებით დიდი მგოსნის გამზირს
დილის მზის.

წუხდა სიცოცხლე გათელილი და დალეწილი,
გამეხებული იდგა თბილისი
და პირს იხოკდა საქართველო —
თმაგაწეწილი“.

1991

აქ, ამ ლექსში ლაკონურობით, დინამიზმით, სი-
სადავითა და უბრალო სასაუბრო ინტონაციითა
გადმოცემული პოეტის სულიერი განცდა. საშინელი,
შემაძრწუნებელი მეხდატეხილი თბილისის შემაზ-
რზენი ტრაგედია. პოეტის უმთავრესი სპეციფიკურო-
ბა სწორედ ის არის, რომ მას შესწევს სხვათაგან
გამორჩეული უნარი და ნიჭი, ჩვეულებრივში არაჩვე-
ულებრივის დანახვისა და, რაც მთავარია, მისი ისე-



თი უბრალო, სადა ხაზებით წარმოჩენისა, როცა ხე-
ლოვნებას და რეალობას შორის თითქოს მანძილი
ქრება, უფრო მეტად პოეტის განუმეორებელი ნიჭის
წყალობით ჩვენი რეალური ყოველდღიური ცხოვრე-
ბის დეტალები სავსებით ახალი, ორიგინალური და
ჯერ არნახული, არ განცდილი კუთხით წარმოჩინ-
დნენ და თავისი გამჭვირვალებით გვანციფრებენ და
გვიზიდავენ.

ციალა მასხია

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



პირამიდები

ვარსკვლავთა ცეცხლზე გამომწვარი
პირამიდები,

მარადისობას პირს არიდებენ.

რადგან ისინი

მოკვდავების შექმნა მარჯვენამ

და უკვდავების მიტომ არ სჯერათ!

1954

საოცრება

“გასაკვირია ქართველი პოეტის ასტომეული”...
მურმან ჯგუბურია

სულ მალე “ქამი მოალის”,
გაიფანტება ეგ ნისლები
და ვითარც რუსი მწერლის
ლევ ტოლსტოის,
ასევე დადგება ხელმომწერთა რიგები,
100-ტომეულზე ქართველი პოეტის –
ვაჟა ეგრისელის.

2017



დრო მოვა და...

ცა და მიწა შეერთდება!!!

აიყრებიან მთიები!!!

დრო მოვა და...

ვით ღმერთები,

სარკოფაგებს დატოვებენ მუმიები!!!

1958



ბოლნის – დმანის

მარნეულს და ბოლნისს,
დმანისს,
პირს ვერ უხსნის წვერი დანის,
რადგან არ ჩანს ტომი ქართუს,
და ვერ ისმენს სიტყვას
ქართულს,
გარდა ათიოდე სვანის!!!

1999



მთვარის გარდაცვალება

მესამედ რომ იყივლეს დილა როცა
მამლებმა,

დამემ, ვით მაცხოვარმა ფერი
უცებ იცვალა.

და ფეხში ჩაუვარდა მოსულ ნათელს
მუდარით.

მერე გამთენისას მთვარე რომ
მიიცვალა,

დილამ გადააფარა მას მკვდრისფერი
სუდარა.

1966



მოხვია

წამით არ შეუშინდა –
თავსხმას,
გერებს,
მოხვია*.

“გლობი სამკლავიანი” –
ზღვებს და ოკეანეებს,
სივრცეებს და
პლანეტებს
სიყვარულით მოხვია.

2016


* მოხვია –(მეგრ) – თავსხმა, მერები



შ0შ0

სრა-სასახლეს კი არა,
დარდით ვხურავ ხსოვნის კარავს,
ვარ სიცოცხლის მომლოცველი.
რადგან, ჩემო,
ზამთრის არა,
მეშინია ფოთოლცვენის.

2018



0სეზ თოლლიხაბი

ქალწულივით ლამაზი სანაპირო,
 თავს იწონებს ქაფის
 არშიებით.

ირგვლივ საოცარი ხედებია...

თოლლიხაბი –

ზღვაში დამხრჩალთა
 დედებია,
 რომ დაპყივიან თავიანთ
 ნაშიერებს.

1960



ანიჭან – ჰომედე

დაფრინავ, გითარც კაპოეტი*,
გეძიონ...
სხვაგან ვერ გპოვებენ!
შენა სარ ქართველი პოეტი,
ანიდან –
ჰომედე...

2018

* კაპოეტი – “ფრინველი წელიწადგამოვლილი”



ლრუბლებს შეფარებული,
შიშით დამენათევი
მთვარე ელვის კრთომაზე
სხივთა თითებს იჭამდა.
წევთდა ოქროს ნათელი,
ვარსკვლავების ფიჭადან.

1980



მექატა და მეღინაც

შენ როდესაც მოხვედი,
მთვარის თეთრი ნაჭერი
ცას ხელთ ეპყრა მერდინად,
რომ ქვეშ ათასწლეულებს
ფაზისივით ედინათ.
შენთვის იყო კოლხეთი –
მექაცა¹ და
მეღინაც².

1959

^{1,2} 1,2 – მექა, მეღინა – უძველესი ქალაქები არაბეთში
(მუჰამედის სამშობლო)



0სეგ პავბასიორნი

(ვარიანტი)

ცაში ბინადარს –
ვარსკვლავები ღვიძლს უკორტნიდა,
შავი ღრუბლების ყვავ-
ყორნებთან
დიდხანს იომა,
სანამ მიმწუხრის მზემ არ დანისლა
ოოვლის გვირგვინით დაზვინული
კავკასიონი –
საფლავი არის ამირანისა.

1961



* * *

ძვალი და ტყავი,
მუდამ მშიერი,
სულ გზაზე მყოფი,
სულ მოუცლელი,
ეს სიკვდილია – სიცოცხლეს რომ წინ
მიუძღვება,
რადგან პირშავი მიწის მუცელი,
ყოფილა თურმე ასე უძღები.

2005



300 იანვარი

ჩემი კოლხეთი იყო ქვეყანა
მზით მდიდარი და
„ოქრო მრავალი“,
მომპარეს მისი ისტორია!!!
არ აქვთ ნამუსი.
გიცი წარსული...
მწამს მომავალი...
ორივე მხარეს ვიყურები,
ვით იანუსი.

1998



ალბათ სააგაძე

გორგასალის ნაშიერი
მტერს,
წარსულში ვერეპები,
თუმცა იგი ასჯერ მეტობს,
ბრწყლებს ილესენ
მგლის ლეპები,
სამარტყოფოდ,
საალგეთოდ.

1989



* * *

დღემ ჩასვენა მზე ზღვის

კუბოში

და სადლაც ქვეყნის დასალიერთან

ქარები მორჩნენ

სხივთა აკონგას.

და წყვდიადიდან უცებ იელვა,

თითქოს გამოპყო ენა

დრაკონმა.

1973



ბრონეულის ხე ციხის გალავანებ

ომების გზებით იარა და,
მომხედურს ათასჯერ კვეთებია.
ეს ბროწეული კი არადა,
აქ დაცემული მეციხოვნის
სისხლის შედედებული
წვეთებია.

1989



0სეპ 0ლოსი

დრო და უამის ძილ-ღვიძილში,
მომავალი თვალებს ახელს:
ღვთის ტაძარში არ ჩანს
იღოსს!*

მითიური მისი სახე –
ეზმანება ცამდე აწვდილ
სვეტებს შავი მარმარილოს.

1973

* იღოსი – მედვას და იაზონის შვილი-შვილი. იღოთის (იგივე ტრაას) დამაარსებელი.



მთვარეს აითაიგულებს

მწუხარისას მზის ბილიკებით –

დღე წავა და

დამე როცა,

ზეცას მისად დაიგულებს:

აიგუნდებს ვარსკვლავებს და

მთვარეს –

აითაიგულებს.

1964



* * *

ბაბილონი,
ურარტეს,
მიდია თუ ხეთია,
მაშინ, ასი ათასი —
წლის წინ, ვით ჩვენ უმზერდნენ,
ცაში მნათთა ხეტიალს.

1963



მთვარე —

აიღტის სასახლე

უსამანო ცა —

ჩემს უძველეს კოლხეთს
მაგრნებს,

რომელსაც შური გაჩენიდან
სდევდა ფარული.

ახლა მის თვალში —

იდუმალი შიში ცახცახებს,
რადგან იქ რომ დგას
ვარსკვლავებით შემოსარული,
მთვარე კი არა,
აიეტის არის სასახლე.

1963

* * *

ასეა ახლაც,
ზვირთებს გრიგალი,
ვით ურა პვიცებს ისე ხედნის,
როგორც ხედნიდა
და თავს იკლავენ ზღვაში ქარები.
საღამოები ამოდიან
ჯოჯოხეთიდან
და მზეს დილისკენ მიაქანებენ...

1977



* * *

გაჩენის დღიდან ჩამესმოდა
მწვანე შრიალი,
დიდი წარსულის კრცეულ მინდორთა,
სულ მოყვავილის მზით და
ვენახით.
ო, როგორ მსურდა,
როგორ მინდოდა,
აიეტის კოლხეთი რომ ცხადად
მენახა.

1964



* * *

ქუხილის ხმაზე,
როს მზემ დასავლეთს,
თავი ჩაჰკიდა მომაპვდავივით,
ღრუბლებმა მთიებს ჭკუა
ასწავლეს,
მთვარეც ჩააგდეს ზღვაში ნავივით.
ასეთ დროს დელვა რას მოასწავებს,
ანდა ქარიშხლის
შავი ბლავილი?!


1979



* * *

უფლისაგან ნაბოძები,
სანამდის ერთად ბუდობს
ჩემში სული და ხორცი,
მაცხოვარს ვუნთებ —
სანთელს,
გვიცხლობ უფალზე ლოცვით.

1987



* * *

ქარის კალთით მოტანილი –
 ზღვად იღვრება
 ნისლის ლილა,
 მზე მისი მოამაგეა.
 და ახურავს ცა –
 მანდილად
 მიწას,
 ამ ჩვენს მშობელ გეას.*

1972

* გეა – მიწის ქალღვთაება.



* * *

წყალიც ძილად იურვის...
კოლხი ორფეოსი კი
კარს მუსიკის –
მიხურავს და მოხურავს
და ატირებს ვარსკვლავებს
დამდამობით კოლხურად.

1974



* * *

სიმყუდროვიდან მზის ნაბიჯები
და ელვის დაწერილი აკორდი,
შორიდან მოისმის
„ლილესავით“.
ობოლი მთვარის დასაკორტნად –
ვარსკვლავები ნისკარტებს
ილესავენ.

1962



* * *

ასე ყოფილა,
ასე მოდის,
შენც ვითარც მამას,
წეთისოფელი მოგიწამლა
შურმა და
შხამბა.

2006



ათონები

ათონის ლურჯ მონასტერში –
ათენებდნენ დამეს
თეთრად,
რომ ცოდნოდათ აწინდელებს,
საქართველო პყავდათ ღმერთად:
იოანე და ექვთიმე
და გიორგი
მთაწმინდელებს.

2001



* * *

მიწაზე არა,

ცაში ვარსკვლავებს

შპვირთ:

მძვინვარე ქარიშხლებისთვის

რაც გიომიათ და გაგიძლიათ,

ეს იმიტომ რომ, ხარ მზის

ნაშიერი,

მოხუცი მთვარეც შენი ღვიძლია.

1989



პიპარისები

არ ვხედავთ,
 მაგრამ იგი აქ არის,
 ვინაც სოფელი დაამწუხერა
 და ააოხრა.
 და... სასაფლაო დარდითა და
 ცრემლით ივსება.
 მიცვალებულთა სულის
 საოხად –
 სანთლად ანთია მწვანე შუქი
 კიპარისების.


1987



მიტომ ახლო მიხედვ ღმერთთან

მთები გესაფეხურა და,
მიტომ ახლო მიხედვ
ღმერთთან
და სატებიც გფარველობდა
წმინდა ჯგერგეს და
ლაშარის.
სახელმა კი შენმა,
ვაჟა!
ალბატროსის ფრთა გაშალა –
გაციერდა,
გალაჟვარდდა.

1976



* * *

რქებზე მზე დანთებულები,
დღეები ნახირივით რომ
მიბდავიან,
არავინ იცის თუ ვისია!
სიცოცხლე – თურმე
დიმლამია,
ცხოვრება – განთიადის ნისლია.

2002



* * *

ხალიბების¹ ქურაში,
გაწრთობდი ძველ სიმღერებს...
და მე ბევრი ვერიდე:
სიზმარეულ ქიმერებს,²
მზიან ეფემერიდებს.³

1964

1 ხალიბები – ძველი ქართველური ტომი.

2 ქიმერა (ბერძ.) – ცეცხლისმფრქვეველი ურნჩული.

3 ეფემერიდი (ბერძ.) – ერთდღიანი მწერი,

(გადატანით, ხანმოკლე ეფემერული რამე)



ცა – ვარსკვლავების ძგიშის საათი

მოვარე წამითაც თვალს არ მოხუჭავს
და ღია ცისქვეშ დამეს
გაათევს,

გამოენისას გარდაიცვლება.

ცა – ვარსკვლავების ქვიშის
საათი,

მამლის ყივილზე ნელნელა და ჩუმად
იცლება.

2004



ხილვა: უტურფურსი

კოლხეთში და დიაოცში –
უტურფურსი* ლომებრ
ებრძვის
ურარტუს და კიმირიელთ:
ზღვა ხომალდებს
წყალში ძირავს,
მტრებს ზედიზედ იგერიებს.

1967

* უტურფურსი – დიაოცის მეფე (წვრ. აღ. IX-VIII ს.)



* * *

უსამანო სივრცეებში –
დავიწყების ბილიკებით
დრო მაღულად მიაქანებს:
გაქვავებულ მთვარის ცხედარს
და მთიების –
თავის ქალებს.

1973



* * *

ბიბლიიდან ხმა ისმის გოდების:

ან ისაკია,

ანდა აბრაამი.

ღამის ბილიკით მიმოდის შიში,

ღრუბლებს შუა მოვარის

გამოჩნდა ნიში

და ვარსკვლავებმა ცა დააბრმავეს.

1972



თიბილ-ტაბულ-ტიბარები

ან მარეს და აიეტის
 ბიბლიური ნაშიერნი –
 დიდ კოლხეთის პატრონები,
 ვით ეგრისელს მიბარებენ,
 რომ წიგნებში დავასახლო:
 კოლხ¹-კილხები²-მაკრონები,³
 თიბალ⁴-ტაბულ⁵-ტიბარები.⁶

1961

1,2,3,4,5,6 – უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



* * *

ხელო უჭირავს მთვარის წიგნი
და იგი ევანგელობს –
მის სულტე და
მის მრწამსტე
და მას ისე, ვით ანგელოზს
ცალი ფეხი ზღვაში უდგას
და მეორე მიწაზე.

1989



დამშვიდება

მომესმის შენი ფრთხების შრიალი,
 ჩემს სიახლოვეს ვიცი,
 არ იშლი
 და დიდ იმედად რადგან ციმციმებ, –
 თავს სიყვარულის მივდებ
 ბალიშზე,
 მშვიდად მივწვები და მივიძინებ.

2009



ცა – გარსპგლავების არის საფლავი

გამთენისას მოვლენ ღრუბლები,
გითარც მწუხარე
ჭირისუფლები
და როცა მთვარის კუბოს დაფლავენ,
მაშინ შორს, სადღაც
ელგა იკიგლებს:
ცა – გარსპგლავების არის საფლავი.

2003



* * *

ბევრმა მძვინვარე ათასწლეულმა,
 ეგრისის ცაზე გადაიგრგვინა,
 მაგრამ მაინც ვერ გაატიალა.
 და აშ „კოლხური ფსალმუნები“,
 როგორც ტიარა,*
 თავს დაედგმება ეგრისს გვირგვინად.

2009

* ტიარა (ბერძნ.) – ძველ აღმოსავლეთში მეფეების და ქურუმების თავსაბურავი. (როგორც ძალაუფლების სიმბოლო)



აიღთი და იაზონი

გმირი იყო,
მიტომ თავი,
დიდ აიეტს მიაზომა.
და წარსტაცა საწმისი და
ბრძენი ქალი,
კოლხ ხელმწიფეს იაზონმა.

1972



* * *

შემკრთალი ელვა დახტის
პვიცივით,
კერ ჰქოვა გზები და
ასპარეზი!
ხოლო ღრუბელმა –
იმ „ხულიგანმა“,
ცასა და მიწას
ერთად უგანა
და დაიწერა ჯვარი მთვარეზე.

1967



* * *

მეხმა როდესაც გადაიგრგვინა,
სივრცეებს ფერი ედო
სატანის
და ყოველივე ჰგავდა ზმანებას.
ღრუბლებს –
ზღვის ცაში სურდათ ატანა,
მაგრამ გრიგალმა არ
დაანება.

1976



* * *

სიშორის იქით,
 მიმწუხერიდან –
 განთიადამდე,
 მიმოყრილია ვარსკვლავების
 ცად მუგზალი,
 დილით კი მათგან რჩება ნაცარი.
 დამე მზის ოქროს –
 დღეს პვლავ უგზაგნის,
 მთვარე კი ცაში არის,
 არც არი.

1977



ჩარგალში პოპალას ძვასთან

დამეა...

გიღაც უფსკრულებს –

ყინჩად ჩასძახის: ამოდი!

ბაწარაულიც იალებს.

სივრცეებს შესძრავს ხმა ლოდის

და...

ბაყბაყ დევის ღრიალი.

1977



ლაზარე

რა დღეს,
რა ხვალ, გარდასულთა,
ცხრაკლიტულის კარს გააღებს,
აღდგება და ჩვენთან მოვა.
და მიღეთი აამაღლებს:
ასომთაგრულს,
ნუსხურს,
მრგვლოვანს.

1981



სტრაბონი

(64 ძვ.წ. 24ა.წ.)

მამით ნაღდი ბერძენი,
სუფთა ჭანი მე დედით,
ვამბობ:

ქალი

ბრძენთბრძენი,
მეუფობდა მედეა,
დიდ ქვეყანას მილეთის.

1962



ა. გ.

* * *

წვიმა წვრილი და გრძელი თითებით
 უპრავს ცისარტყელას –
 ფერად სიმებიანს.
 დვთის წინაშე კი ჩვენ ვართ მართლები,
 მიტომაა რომ ვარსკვლავები –
 სერაფიმები
 წყვდიად დამეს რომ გვისინათლებენ.

1961



* * *

უფლის ხელით დაკეტილი,
შენ გახსენი ჟამთა კლიტე,
ისე როგორც არქიმედემ,
პინდარემ და ჰერაკლიტემ.
და მე მიკვირს: ამდენ ღელვას,
წუხილს,
სევდას და იმედებს,
პაცის გული როგორ იტევს?!

1990



აბრაზინა

აშ შორეული მგზავრობისათვის,
უნდა გეჭიროს ჩვენ თადარიგი,
უფლის მხევალო,
ო, აგრაფინა!
იქლვა?
არა!

არსთაგამრიგემ,
სულ წამიერად –
თავის შუქი გადმოგვაფინა.

1998



* * *

დღე – ნიადაგ მასზე მლოცველს,
მაცხოვარი მუდამ თავის
ახლო მთვლიდა
აი, ახლაც უფაროდ და უხმილოდ,
მუხლმოყრილი უფალს ვუხმობ
და მპასუხობს იგი თავის წმინდა
მთიდან.

2009



შურის ციხე

მტერი ქართლის სილამაზით,
ახლაც ბოდმით სკდება
გულზე,
წარსულისკენ ჩუმად იხევს.
და შორიდან შურით უმზერს:
არმაზს,
ჯვარს და
„შურის ციხეს“.

1972



მზა და მთვარე

ჩანჩქერები კლდიდან ვარდებიან,
მდინარეები მთებს ტირიან...
ირგვლივ სიმრუშე და
სიშავეა.
ჩამავალი მზე – დღის სასრული და
წერტილია,
ნალეგა მთვარე –
ღამის სასვენი ნიშანია.

1972



* * *

მარტი მიიპარება,
ამინდია კაპრიზი,
სახე მიღგას შენი
და ქარები ნაპირზე
ტალღები, ვით სველ ხალიჩებს
დასაშრობად ფენენ.

1978



ებრისის მთვარი

ათასწლეულების იქით,
პონტოს პირას –
ცა კოლხური,
მოვარის მანდილს აფრიალებს.
და ეგრისის თეთრი მთები,
თითქოს ლაზთა გემებია –
თეთრი ნისლის აფრიანი.


1967



* * *

შენი ხმა ელვად უვლის სამყაროს,
ვითარც უვლიდა
და სტრიქონების თითებით,
ამირანივით გამომყავს ცეცხლი,
ციდან კი არა,
ლერწმის გულიდან.

1962



მე და შავი ზღვა

დასაბამიდან კოლხეთში ვსახლობთ,
„ნენანასაგან“* და მზისგან
ვიშვიოთ,
მიტომ ერთი გვაქვს გულისფიცარი.
და უპვდავების
თან დაგვდეგს შიში,
მე და შავი ზღვა გართ
ტყუპისცალი.

1962

* ნენანა – იგივე რეა კიბელე, ნაყოფიერების დვთაგბა.



* * *

ათასწლეულების მერეც,
ცად აღმართავს სიყვარულად,
დააქცია რაც მტრობამ:
მუსიკა და პოეზია,
ფიზიკა და მხატვრობა.

1960



80რა პოჩა

ადრე შორს მოჩანდა:

(ახლა გულზე ვასკდები)
აპენინზე – ეტრუსკები,¹
პირინეიზე – ბასკები²
და აღდგომის კუნძულზე –
კოლხი გირა კოჩა³ და
აზიაში ქასქები.⁴

1977

1,2,3,4 – ეთლებთა (ქართველთა) შორეული ნაშიერნი.



* * *

მწუხარიდან – დილამდე ამოსული,
 ღრუბლები ცის სახეზე
 ჩანს წვერივით.

დღე სადღაც მზეს მიფიცხებია.

ვარსკვლავები –
 მათემატიკური რიცხვებია,
 ოდესდაც უფლის ხელით
 დაწერილი.

1974



* * *

სიყვარულის ხომალდზე –
გარდისფერი ოცნება,
მიკეთია აფრებად.
პოეზიაც,
მუსიკაც,
არის ცაში გაფრენა.

1959



ბიბანების მხრებზე ვდგავარ

„შოთა, აკაკი, ილია,
გაუა და გალაკტიონი“.

მე, რომ აღარ დამინახონ,
ამიტომაც ზოგ-ზოგები,
თვალებს ძალით იბრმავებენ
და სმენასაც იყრუებენ.
აღარა ღირს მათთან დავა.
მე, შორს მიტომ ვიყურები,
გიგანტების მხრებზე ვდგავარ!

2007

ლეიტონ ალექსანდრე

დაჩის

გულშიც აღარ გაიფიქრო:
— ლექსს,
აბა თავს რად აკლავდა,
რა ზნე პქონდა,
რა რჯიდაო!

შეიღო,
ჩემთვის პოეზია,
სულ,
ქვა იყო საჯილდაო!

2007



* * *

ეს ლამაზი ცხოვრება
გადიქცევა ეწერად,
თუ მასში არ იცოცხლებს
მუსიკა და
ფერწერა.

2001



მარები, მაპრისები და მაპრალები

დავიწყების ნაპირებზე ჩამომსხდარნი,
ნახევრად ტიტველნი და
შიშველნი
და გულზე ტყვია ნაკრავები,
ხელებს კოლხეთისკენ იშვერებ:
მარები,¹
მაკრონები² და
მაკრალები.³

1964

1,2,3 – კოლხთა (ქართველთა) შორეული მონათესავე ტომები.



* * *

მთები ფეხისწვერზე დგანან...

მორევიათ განა რული:

ჯვარს და

არმაზს

და ნარეკვავს.

და არაგვი, ანანურის ციხის ზარებს –

მცხეთასთან კვლავ ჩამორყეპავს.

1977



9 აპრილი

მესმის მოთქმა,
გოდება,
როცა დგება მწუხარი.
ხსოვნა,
სევდას მაძალებს
და ქაშვეთის ტაძარი
რაეკავს ცრემლებს და
წუხილს.

1986



იგაროსი

„მზე – დედაა ჩემი, მოვარე – მამა ჩემი“.

ხალხური

ერთურთს დაშორდნენ მზე და მოვარე –
ძველი ცოლ-ქმარი.

მათმა ძემ მიწა აღარ იკმარა
და ცად აფრინდა,
მაგრამ დედამ არ მიიკარა!!
და ცაშივე დასწვა ქუხილით.
გაქვავებული მამა – მოვარე,
მიწას რომ დაცქერს შებლშეჭმუხნილი.

1994



* * *

შაოსან ღრუბლებს ზღვასთან უცდიდა
და დაჟყურებდა ცა გაფიტრებით.
ნავში ესვენა ნეშთი –
ეულის
და მკერდზე ეწყო ფერმილეული,
ყაისნალივით –
გრძელი თითები.

1961



* * *

ხსოვნას ვფიცავარ დედის და
ახალ გარდაცვლილი დის:
მამული განა მიწაა,
ის თაფლით საგსე ფიჭაა
და...
ამბრის სურნელი სდის...

2005



* * *

“ვარიანტი”

გიორგი დამე და დაპსალიერთან,

ჩუმად იყრება სული

და ხორცი.


მომაკვდაგს ცრემლი ეღვრება ღველფად.

დგას ცივ სინათლედ

სანთლების ლოცვა,

ტირილად ისმის ძაღლების ყეფა.

1987



ზღვა და თოლიება

არავინ იცის ზღვას თოლიები,
 წივილ-კივილით თავს რად
 აკლავენ.
 იქნებ გლოვობენ გრიგალს –
 გარეწარს,
 ცა, მზეს იფარებს,
 დღისით სახე რომ არ დაეწვას,
 ხოლო დამით კი მთვარის ჩრდილში
 ძინავთ ვარსკვლავებს.

1986



ჭარღერა სავჭავის ლოდზე

აქ არის ჩემი ნავსაყუდარი,
ეს შავი ლოდი...
და სხვა განძი არავითარი.
მთელი ცხოვრება ვლოცულობდი მეც
მნათესავით,
და სიყვარულს და სითბოს ვთესავდი
ვიყავ პოეტი,
სიღარიბით ვიყავ მდიდარი.

2003

* * *

ათასწლეულთა უღრანებიდან –
 ბლავილი მესმის ოქროს
 ვერძების
 და სიახლოვის მწვავს აგონია.
 დედამიწაზე ვეღარ ვეტყვი
 და წინაპრები ჩემი მგონია, –
 ცად მორიალე სილუეტები.

1996



* * *

თუმცა დაბერდა მთვარე,
მაგრამ ყოველი ესმის,
ვითარცა აბედს,
კვესის.
ესმის ქუხილი ზევსის
და ხმები ქრისტეს კვნეხის.

1996



“შებრუთში

ქართველები,
 ჩვენ მებრძოლი ხალხი ვართ...
 და უნგრეთის ცისქვეშეთშიც
 გვესმოდა –
 წინაპართა ხმები – მტერზე კვეთების
 და აწ ხნიერს,
 ხსოვნა თუ არ მღალატობს,
 მაშინ ნისლში მშვიდად მძინარ
 ბალატონს
 ფერი ჰქონდა ლექსის შანდორ პეტეფის.

1983



* * *

ღამეულ ფსკერზე ძილად მიყრილებს,
სანამ გრიგალს ზვირთებს
აშლიდეს.

გულს გაიხეთქდეს მიწა საწყალი.
მანამ მგრგვინავ ცას
მზერით ამშვიდებ
და ზღვა ბობოქარს –
სიტყვით აწყნარებ.

2000



* * *

ძეო ადამის!

ბევრჯერ შეგშლია,

„ალილუია!“ მაგრამ უფალი,

მიგიტევებს და...

აწ გაილადე.

რადგან შორს არა, თვითონ შენშია,

მიწის სიღრმე და

ცათა სიმადლე.

2004



აპრილი პოლეთში

გაზაფხული მინდორ-ველზე,
კვლავ გადადის
წუმად ყირას.
მწვანე უჩანთ მოებს მაჯები.
სხვამ რა იცის,
ბუჩქის ძირას,
ია-ია სილურჯით, ვით იტანჯება.

1980



* * *

აღარ სურს ნახვა,
 თავს იმძინარებს,
 რადგან ყოველი
 ირგვლივ ოხრდება.
 არაუშავს რა, შენს სუსტ მდინარეს,
 ხმა,
 ო,
 სულ მალე დაუბოხდება.

1957



* * *

მარტო ფხოვში კი არა,
ფშავ-ხევსურეთს მთლიანად,
რწმენის დროშა გაშალა:
„აონმა“¹ და „თიანაძ“²,
„ბოჩიძ“³,
„პეტარაძ“⁴,
„ლაშარმა“⁵.

1977

1,2,3,4,5 – წარმართული ღმერთები.



* * *

შენი მარჯვენა ხელისგულიდან –
მზეს და სიცოცხლეს ალოკავენ
ქვამარილივით, –
ასწლეულები, როგორც ხარები,
და ბობოქარი შენი ლურჯი
ზღვათა ტალღები, –
ხმას ცის წერამდე აიმაღლებენ
და სივრცეებით იმქუხარებენ.

2003



ხილვა: მთები ხერმონ-თაბორის

ნისლია თუ მირონი,
რომ ჩამოდის წყალობად![“]
ქრისტეს ნაფეხურების
ისევე სურთ ამბორი.
იესოს უგალობენ
მთები —
ხერმონ-თაბორის.

1983



ო ნ ი ს ი ა მ ა

ზღვისკარად რომ გვიალერსებს –

ოდოიძ¹ ან ვოისა².

ფეხზე ადექი და მოისმინე

პონტოს ზვირთებიდან:

ძველ-კოლხური სიმღერა მოისმის[‘] –

ო ნ ი ს ი მ გ.

1987

1,2 – კოლხთა წარმართული დმერთები.



ხევსურეთის ღამე

ელვა ხანდისხან გაჰკრავს კვეს-აბედს
და ნაპრალები ჩანან
ყინვით გადალეკილი.
ვიდაც წყვდიადში ყივის: მოიცა!
გადმოდგა ნისლი მთაზე ლეკივით
და ხევსურეთი შიშმა
მოიცვა.

1977



ხილვა – მეღება-აჭსირტვა, აიღთი

ისე ახლოს მოისმის ზარის რეპვა
 ჰეკატეს,
 თითქოს ათასწლეულთა გზები არ გაელიოს.
 ნათლად ვხედავ –
 მედეას,
 აფსირტეს და აიეტს,
 ფაზისთან ვით ელიან –
 მზის ღვთაება ჰელიოსს.

1966



თოლიების ვოთლები

პორიზონტს მიღმა,
დასალიერთან,
მოჩანან მოები –
დათოვლილები
და მათ სიბერე არ აშფოთებენ.
ზღვა,
თითქოს ტყეა შემოდგომის
და თოლიებს –
ცვივა ფოთლები.

1971



თარი; თშრი

ჩუმად უმზერს თარიც¹,
 თურიც²,
 რომ მტრისგან თუ „მოყვასისაგან“,
 როგორ მოდის შარიშურით,
 თეთრი არა,
 შავი შური.

1989

1.2 – წარმართ კოლხთა (ქართველთა) დფთაებები
 (წარმართ კოლხთა პანთეონში).



შურის შავი ფარდები

ეფარება შენს იმედს,
მერამდენედ ვინ იცის,
შურის შავი ფარდები.
მაინც, შენი მკრთალი ცა
ელის გალაქვარდებას.

1998



* * *

მზე რომ დატოვებს თავის საუფლოს

დღე,

ლამეს უცებ დაემდურება.

მიმწუხრია და ვარსკვლავები

ცისკარს ადებენ.

ზარბაზნებივით, ეზოებში დგანან ურმები

და სოფელს ყელში გახირვია

ყეფა ძაღლების.

1967



გათიადი სოფელში

თენდება...

ვიდაც უძახის მეზობელს –

ოფეე...

ოფელი!

ქათმები გამოსვლას ერთმანეთს ასწრებენ:

და ცაზე კიდია სოფელი,

მამლების ყივილის –

ბაწრებით.

1978



აჩხურის და ამონის

როგორ შვენის ეგვიპტეს

ქუდი –

პირამიდების

და სიმაღლე, რომელიც

ცისიერთან ამონებს.

და... იქ სუფეს დიდება:

აჩხურის¹ და ამონის².

1972

1,2 – ეგვიპტური დმერთები.



* * *

უსამანო სივრცეებში ფრთების

გაშლისთვის

იცი, უფალი არ გაგიწყრება

და რად ჰგონიათ აღმაფრენა

შენი დამთავრდა.

პირიქით,

ჩემო, ახლა იწყება...

მხოლოდ იმ ერთმა,

ღმერთმა იცის გზები მართალთა.

2002



* * *

გასცემი კოლხეთს აიეტივით,

— აქ არის შენი ფუძე და ნერჩი.

და თვალს აყოლებ

დრო — უამის ბრუნვას,

რადგან შენ იგი არაფერს გერჩის,

ვითარცა მზის შვილს,

ვით ლომს და უნასს.

1989



* * *

ათას ქარ-ცეცხლ გამოვლილი,
მშობლიურ პორტს სიყვარულით,
როცა მიაბდავლებს გემი,
მაშინ ზღვაო, დედასავით,
აღელვება,
როგორ გშვენის.

1986



* * *

ვადიდებ და ვაღმერთებ,
ბერძნულსა და
რომაულ,
ე.ი. ანტიკურ:
აზროვნებას პოეტურს,
წვდომას მათემატიკურს.

1980




ხათი, ხათი და ალიბი

შორეულ წარსულში დამსხდარნი,
ძველ კოლხურ,
რომ გაიგებენ,
მთვლემარნი, წამს ყურებს დაცქვებენ:
ხეთი¹,
ხათი² და ალიბი³,
მაია⁴, ინკი⁵ და
აცქეტი⁶.

1968

1,2,3,4,5,6 – შორეული კოლხური (ქართველთა) მონათე-
სავე ტომბი.



ბატი და გეღი

ათასი წელი შევცერიოთ
ცას ლამაზსა და
გულკეთილს,
რომელიც ნიღაბს არ იხდის,
კნაჭა გედს,
ბატზე უკეთესს,
მიწა კი არა,
წყალი ხდის.

1986



* * *

ზოგ ცოდვილს მდუღარე კუპრი, და
ზოგსაც სამოთხე მიეღის.

მსურს იყოს უფლისგან

დაცული:

ჩემს ზემოთ ცა – ვარსკვლავიერი

და ჩემში –

სიამაყე კაცური.

1993



მე ადამის

მოვიდა...

და აღარ იცოდა,

არც არითმეტიკა...

და აღარც რიცხვები.

და მე ადამის – ცას შესციცინებდა,

და...

თვლას სწავლობდა მურიცხებით*.

1974

* მურიცხი (მეგრ.) – გარსკვლავი.



სული ბეჭირის და ბიძირის

წარსულის ქარიშხელებს მოყოლილი,
პატარა ტალღა,
ვით ამფორა –
აღსავსე სულით ბეჭირის
და ბიძირის
მოადგა ნაპირს და ეამბორა,
გახედა კოლხეთს და...
ჩაიძირა.



ამინდის შეცარი შეცვლა ზღვაზე

სახეფერმკრთალი და ნაღვლიანი
 ელვა ხშირ-ხშირად
 მთვარის სარკეშიო იყურება
 და იწნავს ნაწნავებს.
 ნეტავი ამ ზღვას რა აღრიალებს,
 ანდა ეს ქარი
 რას დაწანწალებს.

1987



* * *

ვარსკვლავთა ზოდებით –
ცას უფლის ანაგებს,
ანგრევენ და თავებს ირცხვენენ.
სამყაროს განაგებს –
მათემატიკური რიცხვები.

1980



* * *

მზის და მთვარის თვალება
ცა დაგყურებს მუნჯივით
და გაბრმავებს სინათლე:
მოგიგდია სამყარო ზურგზე,
როგორც ხურჭინი
და წყვდიადში კი არა,
სამოთხეში მიათრევ.


1999



* * *

აღარსად ჩანდნენ ალბატროსები,
გემბანიდან კი სევდანარევი,
ქარებს მოჰქონდათ ხმა
სიმღერების –
მებადურების და მატროსების.
და ლურჯ პორიზონტს როცა
გავხედვ,
გნახვ: ზღვა ზეირთთა მუშტს მიღერებდა,
განრისხებული,
ბლუ და თავხედი.

1986



* * *

ღამის საყდრულ სიჩუმეში,
 ანგელოზთა ხმაც
 არ ისმის,

უფლის შიშით მოცულების.

ცა – მღვიმეა,
 ვარსკვლავები
 იქ, დილამდე ლოცულობენ...

1996



* * *

ათასეულ წლის წინათ,
რომსს,
მინოსსა და თებეს,
ბერძენი, არც რომაელი,
კოლხები გახლდათ მეფედ,
რომელიც მთელი სამყარო
ომების სისხლი ღებეს.

1974



* * *

მილიონი წელია,
ცა, რომ დაწერილია,
გარსკვლავებით კი არა,
ძველ კოლხური ანბანით.
და შენ გელის, ვით მგოსანს,
მზის ემბაზში განბანილს.

2001



ა ვ თ ა ხ დ ი ლ ს

გიხმობ,

გეძახი,

და ხმა არსაით,

შენი სახელი ქვაზე სწერია.

წევხარ მიწაში გაუპარსავი

და საფლავიდან რომ ამოვიდა

ბალახი არა,

ძმაო,

ალბათ შენი წვერია.

1993



* * *

ამირანის ცეცხლი გბუგავს,
 სიყვარულის ბოლი აგდის.
 მხსნელად თავზე
 ცა გახურავს.
 და დგახარ, ვით გოლიათი,
 მშობელ ქვეყნის სამსახურად.

2005



* * *

შემოდგომის ფოთლების სიყვითლე,
რაც ქარი დაგპირდა,
ბაჯაღლო ოქროა ნაწური?!
ზღვას ვკითხე,
შემომდგარს ნაპირთან,
მან მხრები აწურა.

1988



* * *

მიმწუხრიდან დილამდე,
 ხელში მთვარე გიჭირავს
 ისე,
 ვით სალამური
 და ბნელს ნათელს მიუფენ:
 მიწიერმა,
 ციური პოეზია იუფლე.
 და მშეილდმოზიდული
 გითვალთვალებს ამური.

1970



* * *

ნიღოსთან,
განგთან თუ ფაზისთან,
სხვის არა,
მზის*სამოსახლოა.
და კოლხეთს არ უჩანს სამანი...
და ვხედავ –
ცასთან რა ახლოა,
ბაბილონი,
მცხეთა და ქანაანი.

1970

*მზი – იგულისხმება პელიოდის ნაშიერნი: იაფეტი, პიპერიონი, აქციუსი, აიეტი და ა.შ.



პოეზიის გალერეასკონა

ცას თეთრ შუბლზე რომ აზის

მთვარე,

თითქოს კოპია,

ვითომც და რომ არცხვენებ.

და „კოლხური ფსალმუნი“

კალეიდოსკოპია –

საგსე მეტაფორებით და

ვარსკლავების

ნამსხვრევით.

2002



რემისა და რომულის

ქლვა –
ჩემი ფიქრია,
დედამიწას რომ უკლის,
და მე ისევ ისე;
რემისა და რომულის,
ძუძუს რომ აწოვებდა –
იმ მგლის ყმუილს ვისმენ.

2007



* * *

გაზაფხულის მოღივით –
ჟამი ფეხქვეშ გერთხმის.
სამყარო გაქვს მოგლილი
და კვლავ გწყალობს ღმერთი:
ხელობიპყრია აზრის და
პოეზიის კვერთხი.

2005



* * *

ღამის ცაზე რომ ჰკიდია,
მთვარე,
როგორ პგავს ბუმერანგს,
მიმწუხერი რომ მხრებით ზიდა.
ზვირთი იხდის ქარის პერანგს
და ამოსვლას ლამობს ზღვიდან.

1967



* * *

ქალი არა,
 მზე მომტაცეს
 და წარსული ამიოხერეს:
 მედეაზე ფიქრი მლახვრავს.
 კეფერები მე ძველ კოლხეთს,
 კითარც ზღაპრულ
 მზეთუნახავს.

1969



ბანეთშილების გაშლი

მეოცე საუკუნის –

ჩუმად მიხურე კარი,

არავის დარჩი ვალში.

ცაზე დაპყიდე მოვარე –

განხეთქილების ვაშლი.

1978



* * *

ახლა კი არა,
დასაბამიდან,
არსთაგამრიგე, როგორც
დაგვპირდა:

ცა,
მიწას მთიებს როს დაარისხავს,
მაშინ ზღვა ძილად მიეგდება
სადღაც ნაპირთან
და თავსასთუმლად იდებს ქარიშხალს.


1986



„იულიუსი-ივლისი“

გაუძლებ შურს და ომებსაც,
თვალში ნაცრის შეფრგევას,
რაც საგზალი დღეის არი,
მაგრამ მოვა „ოვე“, რომელსაც,
ვით „იულიუს“ კეისარი,
„ებრისელი“ ერქმევა.

1969



პოლიციი დამე

დამის იქითა სივრცეში
ელგა წყვდიადში
თარეშობს,
ოუმც ცაში ბუდობს მურიცხი*,
უზომო,
ჟანგარიშო,
უთვალავი და ურიცხვი...

1961

* მურიცხი (მეგრ.) – გარსეპვლავი.



ალექს

* * *

(ვარიანტი)

თავგამეტებით რომ მისდევენ კვალს
გლისერების,
უღვთოდ სიცოცხლე აღარ სურვებიათ.
და დაფრენენ და ზვირთებში
რომ მკერდს ისველებენ,
თოლიები —
წყალში დამხრჩვალთა სულებია.

1982



* * *

ლეგენდიდან გადმოსული,
 ცისქვეშეთში მარტო ხარ,
 და ათასი მომხრე გინდა:
 თეთრ პეგასზე ამხედრებულს,
 ქრისტეს მხედარს –
 კოლხეთიდან.

1971



* * *

სივრცეების აივნიდან –

გადმოჰყურებს ცოდვილ მიწას,

მთვარე,

როგორც მოურავი.

რა აშორებს ზეგსის¹ რისხვა,

არც ქრონოსი²,

არც ურანი³.

1968

¹ზეგსი (ბერძ.) – კაცთა და ღმერთთა მამა

²ქრონოსი (ბერძ.) – დროის განმასახიერებელი ღვთაება.

³ურანოსი (ბერძ.) – ცის განმასახიერებელი უზენაესი ღვთაება.



* * *

მოგარდა და ქარიშხალმა
ყურში რაღაც ჩაჩურჩულა,
“არვინ იცის რას დაპირდა,
ვინ გაიგებს ქარის ენას!“
ჩაიმუხლა ზღვამ ნაპირთან
და მკვდარივით მიესვენა.

1997



* * *

ასი ათასი წელი გავიდა,
რაც რომ შენი ხმა
მოგვდევს,
მოგეკიცის...
არც ადამი ჩანს და აღარც ეგა.
შენ პოეზიის გადევს
ბორკილი
და ნუ მოგასწროს ლმერთმა
მის მსხვრევას.

2007



ზღვა და კლდე

ნისლის თავზალმიანი
კლდე დგას კვლავ თავმომწონედ...
სიკვდილის თუ მგლისფერი ადევს
მიმწუხრს სახეზე:
რადგანაც კლდეს შეასკდეს,
ზღვას გრიგალი
აქეზებს.

1997



ხილვა: მომღერალი პოლხი

სანამ მამალი მზეს იყივლებდა,

მე,

მოვიარე დედამიწის.

ყველა კუნჭული

და ხსოვნის მიღმა,

შორს,

გარდასულ ათასწლეულით

ვნახე: ზის კოლხი თვალმოხუჭული

და მთელ სამყაროს ატკბობს თავისი

ტბილი ღურჭულით*.

1972

* ღურჭული (მეგრ.) – სიმღერა, გალობა.



* * *

დამის მიღმა,
 აღმოსავლით,
 მზის ლეპვების ისმის ყველა
 და იზრდება შიში ხავსად.
 ელვა ცას ომსებს გადაპარსავს,
 გამოაჩანს მოვარის
 კევას.

1972



* * *

“ვარიანტი“

ერთი ვარსკვლავიო სადღაც –
ქრება და ისევ ციმციმებს
და ცას სიშორე კორტნის...
ტყვიის ღრუბლების სიმძიმით –
დამეს ემტვრევა ტოტი.

1984



* * *

სასოფლად უდევთ მთვარის ბალიში,
 სძინავთ ვარსკვლავებს –
 ლამაზ ქალწულებს,
 რომლებიც ღამით შიშველ სხეულს
 ვერ იფარავენ.
 და დღე-ღამებს ერთმანეთზე
 გადაბაწრულებს,
 ცის უდაბნოში ვიღაც ისევ
 მიაქარავნებს...

1975



ფარსულის იძით

გუშინ თუ,
გუშინ მოსულებს,
აშინებო მტრებსა და
ავსულებს,
ვით ელვა ბნელში რომ მიჰქრი...
რომ გიხმობს კოლხეთის
წარსული,
სადღაც შორს...
წარსულის იქით...

1979

* * *

ტყიდან მოზოზინე ნახირს,
სურნელება მოაქვს მოლის,
ნიავი თავს მდაბლად
უხრის.
ნისლის ჩიბუს მოაბოლებს
და შემოდის სოფლად
მწუხრი.

1962



300 პევესტო

მოსვლის დღიდან გწყალობს ღმერთი,
თუმც უმძრახად ხარ
მეფესთან,
სამჭედლო კი მაინც ბოლავს,
და შენც იხე,
გიო პეფესტო,
ჭედავ...
პოეზიის ფოლადს.

1974



ქ ი ნ ქ ლ ა

ნათურის შუქჩე მოულოდნელად,
თითქოს „იქიდან“
მოფრინდა ქინქლა
და ჩამჩურჩულა:
— ჯოჯოხეთია აქაც და
იქაც.

2008



მთვარე, ვით გეთხოვენი

სიჩუმეს მიჯაჭვული,
ქარი მალე აიშვებს,
ცისა და ზღვის მთხოვნელი.
მთვარე, ვით ბეთხოვენი,
ისევ ისე აუდერებს
გარსკვლავების კლავიშებს.

1979



မာနေ့တော် ဘဏ္ဍာန်များ

ဦးနှစ် များမှာ အရ ပုံမှန်၊
သာမန် တွေ့တော် ဝါသ များမှာ ချို့ယူ၏
ဦးနှစ် များမှာ အရ ပုံမှန်၊
သာမန် တွေ့တော် ဝါသ များမှာ ချို့ယူ၏
မာနေ့တော် ဘဏ္ဍာန်များမှာ
တော်များမှာ အရ ပုံမှန်၊
သာမန် တွေ့တော် ဝါသ များမှာ ချို့ယူ၏
မာနေ့တော် ဘဏ္ဍာန်များမှာ
တော်များမှာ အရ ပုံမှန်၊
သာမန် တွေ့တော် ဝါသ များမှာ ချို့ယူ၏

1978



მთვარე ნავია ქარონის

მწუხარიდან –

განთიადამდე,

ელვის ნიჩბებს რომ

აელვებს,

მთვარე ნავია ქარონის.

მკგდართა სულები –

ცის იქით,

გადაჰყავს უსახლკარონი.

1993



ზღვა და ქარიშხალი

ზვირთთა ლოდებს მიაგორებს,
ზღვა არის და
ერჩის ღონე.

ქარიშხალიც გრძელ ფეხება
ისე დაჰქრის თავმომწონედ
თვით მიწასაც არ ეხება.

1986



* * *

ახლა ჟამთა ხავსი ფარავთ –
მზით ნამთვრალებს
და ნაღვინებთ:
არკადიას¹ და ბაბილონს²,
ქალდეას³,
აიას⁴ და ნინებ⁵,
ჩემი კოლხი წინაპრების
ნაალერსებთ,
ნაფოფინებთ.

1963

1,2,3,4,5 – პრეისტორიული კოლხთის ქვეყნები და
ქალაქები.



* * *

ადიდებული მდინარეები,
 გერ აუდიან დედამიწის
 ცოდვების რეცხვას.
 სიგრცე სველია და ნაწვიმარი.
 ცაში ანთია ვარსკვლავების
 სამსხვერპლო ცეცხლი
 და დამის ღმერთს მთვარეს სწირავენ.

1986




ვ თ ვ რ 0

ქაოსიდან ამოსული
მზე - დღეს,
მოვარე - დამეს შერთეს
და მას შემდეგ დგთისტოდ ეთერი:¹
ცა უჭირავს ცალი ხელით
მეორით კი დედამიწა
და...
საშველად არვის ელის.

1980

¹ ეთერი (ბერძ.) – პაერის სქელი ფენის განსახიერება (ზეგსის ადგილსამყოფელი). პესიოდეს მიხედვით ერთ-ბოსისა და ნიკტის ვაჟი.



* * *

ვითარც სიყმაწვილისას –
მეგრულ ოდის ლაფარის,
ახლა უამს სიბერისას,
მინდა კოლხეთის წარსულს,
თავი რომ შევაფარო.

2007



დამის მსახური

სიზმრად შემომხვდა დამის მსახური,

უშნო,

უდონო და უსახური,

სული მომთხოვა, ვით არსაკიძეს,

შეკრთა...

“ო, ალბათ, ქსეც ბედია“

მას მერე,

გვა, რა დრო გასულა,

არსად, არასდროს არ შემხვედრია!

1999



* * *

ყიყინებს ნათელს მთიების მყვარი,

მთვარე სახეზე იფარებს

ნისლებს.

უამი ირევა, ვით სკა ნაყარი:

რომ ქვეყნად ყოფნა

არაა მყარი

და... თავს სიკვდილსაც ვერ შეაყვარებ.

2000



* * *

ანგელოზების თავის ქალებია –
მთიები,
ფოსფორი ანათებს დათხრილი
თვალების,
ზოგჯერ რომ ფარავს ღრუბლების ძონძები.
ჩვენ მთელი სიცოცხლე
სიკვდილს ვემალებით,
და სულ ტყუილად
ის მაინც მოგვძებნის.

2001

* * *

წამს გაიღება წარსულის კარი,

ყივის ცისკარი,

თუმცა ბინდია.

ათასწლეულებს გადასწევს მთვარე

და გამოაჩენს აიეტის

ოქროს სასახლეებს,

აიგანზე მდგარ დმერთქალ იდიას.

1969



* * *

ელვის ბილიკით ჩამომდინარი –
მოედინება სიმღერა მეხრის,
რომელიც ჩუმად ვუსმენ და
გუმბერ.
ვით სათოხარზე შუადღისას გლეხი,
ცა,
მთვარის ქიცას
შუალამისას წაიკრავს შუბლზე.



* * *

სამშობლოს მტრებს და ორგულებს,
ვითარც ნადირს მოიხელთავ
და შიგ გულში ჩასცემ ლახვარს.
გადააქცევ ზღვას –
ხმელეთად,
მთის მწვერფალებს გადალახვ!

2003



პომეტებს და პვაზარებს

ცისკენ ხელებაწვდილი –
დგას ვედრებად ალვის ხე.
სივრცეები ზანზარებს,
რადგან ღმერთი არისხებს –
კომეტებს და
კვაზარებს.



ხილვა: შარმართები მცხეთაში

ჯერ აღარა ჩანს ციხე არმაზის,
 თუმც კლდეებიდან
 მცხეთას დასცქერის –
 რკინის ხარის თუ ოქროს ხბოს თავი.
 წარმართებს მაღლა ააქვთ ლოდები.
 სიგრცეები კი ფიფქებს
 მოსთქვამენ
 და მთები თოვლს და ზამთარს
 გოდებენ...

1989



მზის ამოსვლიდან – ჩასვლამდე

ვითარც მოკვდავს მიგემია
სიტკბოცა და გლოგა მწარე,
გმარხულობდი და არ გსვამდი.
ესაა რაც მოვასწარი,
მზის ამოსვლიდან –
ჩასვლამდე!

2004



* * *

მამლის ყივილი მიღეულ დამეს,
 ვითარც ძვალი ყელს
 გაეხირა.
 ცას ელგა ზოგჯერ გააწნავს სილას
 და ვარსკვლავები
 როგორც ნახირი –
 აღმოსავლეთით მიბდავის დილას.

1977



ფირიშები

ხობისწყლისპირ ჩამომსხდარი –

თმაგაშლილი ტირიფები

წყალში დამხრჩვალო

დასტირიან,

მიტომაა მზე გაძვირდა.

ანგელოზთა ტკბილი ხმები,

მაინც ისმის ცის ტაძრიდან.

1989



* * *

შენ მეოცედან მოხველ
და დიად ოცდამეერთე
საუკუნეს მხრებს ატოლებ.
და პოეზიის მახვილსაც
აელვებ,
ვით გლადიატორი.

1996



გარსპოლავები – უცლის პარვებია

დღისა და დამის შესასვლელი –

მზე და მთვარე –

ცის კარებია

და დაღადისი მოისმის მწირის.

ვარსკვლავები –

უცოდველი კრავებია,

მამალმერთისთვის შესაწირი.

1978



* * *

ლრუბლების ურდომ გამთენისას,
ცას ვარსკვლავები
გადაუმალეს,
კავკასიონი ფეხქვეშ შავი ლოდები ყრია.
სიჩუმე მოაქვს ხმა იდუმალი,
მთები შიშობენ
ამირანის არწივის ყრიალს.

1989



* * *

ხსენება ოქროს საწმისის –
უამურ ფიქრებს ცრის...
და დაძრწის დალატის ხმა
დაგეშილი.
ელვა – ნერვია ცის.
დამეს მოუჩანს მთვარე
ეშვივით.

1989



მ ა რ ტ 0

ვით შარშან,
შარშანწინათაც,
წელსაც,
რა კარგი უხარია,
ჩემი ქართული ბრწყინავს ცა
და ისევ ერთად არიან:
მარსი¹,
არეა²,
არია³.

1981

1,2,3 – მარიხი



* * *

როგორც ზღაპარში გველეშაპმა
მოულოდნელად,
მზე წამს ჩაყლაპა დასალიერმა
და ცის კიდეზე
აღარ ბარჩხილებს.
ზღვის სიღრმეში რომ უცებ იელვა,
თევზი ამოხდა თუ სულია
წყალში დამხრჩვალის.

1990



* * *

ჩემი ყოფნის ცის ტაძარში,
რეკვა ისმის სხვა ზარების.
მეძავნი და
ურწმუნონი,
სიცოცხლეს კვლავ მაზარებენ,
ვით იქსო ნაზარეგელს.

1989



ა ნ ა ჭ ო ლ ი ა

დიდ სელმწიფეთა ჩანს ნოასახლარი,
მორწყული წარმართ
მღოცველთა ცრემლით.
სიმარტოვეში დგანან ნიშები.
იღრინებიან აგაზები –
კარიბჭის მცველნი
და ძველ კოლხეთის –
დიდ წარსულში
აღარ მიშვებენ.

1986



* * *

ხობისწყლის პირს ჭალას დამბა,
აუზიდავს, როგორც წარბი.
იქვე შენი სიცილი,
გადათოვლილ გზაზე გარბის
გაუხედნავ კვიცივით.

1962



* * *

შორს,

მთათა მიღმა ისნის ვარსკვლავმა
თვალი მოხუჭა

და გაახილა.

იღვიძებს ცეცხლი,

ალაგ-ალაგ ამოდისკვამლი.

თოვლიან ზამთარს ბლაგის ნახირი
და ნაჯახივით დამეს აპობს

ყივილი მამლის.

1959



ხილვა: ბორგონა მეღუზა

მითებიდან მოსული
 კარებთან ამეტუზა
 და მიკივლა:
 — აქა ვარ!

იმ ურჩხულმა — მედუზამ*,
 მაგრამ ვერ გამაქვავა!

1971

* გორგონა მედუზა (ბერძ.) — ქალი ურჩხული, რომლის
 თავს ვინც შეხვდავდა ყველას ქვად აქცევდა.



საჯილდაო ქვა

ცისქვეშეთში დღეები,
გითარც წინათ ტაატით.
მიდიან და მოდიან...
მაგრამ შენოვის ყოველი:
წამი,
წუთი,
საათი,
საჯილდაო ლოდია.

2007



თ ბ ა

უსინათლებს დღისკენ მაგალ
 ღამეს წყვდიადს,
 ქუხილს ელვა,
 სულ თან ახლავს,
 არ უხდება დიდხანს დაცდა.
 და ის ელვა,
 სველ ღრუბლიან ცას გადახნავს,
 კვლავ დათესავს ვარსკვლავების
 ოქროს მარცვალს.

1994



პ რ ს ე ი დ რ ნ ი

(გარიანტი)

უმთვარო და უსამანო

ქარიშხელებმა ცა

ინდომეს.

დამეს ცვივა ცრემლი მლაშე

და ზღვაზე პოსეიდონი

დააჭენებს ზვირთთა რაშებს.

1972



* * *

წვანან ღრუბლების შავი ლოდები
 და ვარსკვლავები ნათელს
 უქმევენ –
 გადავიწყებულ სულებს უძლურთა.
 გადაუღელავს ზეცას
 გულ-მკერდი
 და რძე მოქონავს მთვარის ძუძუდან.

1969



ხილვა: ბ ა გ ჟ ვ ო ბ ა

უამს მიმწუხერისას
მოულოდნელად,
მოგონებების დგება ჭავლი, და,
გხედავ: ცანცარა თხებს და ერკემალს,
ახალ გაჩალულ პარას ჭალიდან
ფეხშიშველა რომ მოერეკება.

1966



* * *

(გარიანტი)

რომ მიცურავს ცის თკეანეში
კავკასიონი –
ხომალდია ნისლის აფრებით.
და აწ ავადმყოფს სიყვარულით,
რა მეშვეღება!!
სამშობლოვ ჩემო!
შენი ერთი თვალის შეავლება,
მე თუ მომარჩენს,
სხვა არაფერი.

2006



რობორც იობი

გვღრნიან დღეები და ჩვენ ტანჯვისთვის,
უფალს მადლს ვწირავთ,
როგორც იობი.
თუმც წარსულიდან სმები მოგვესმის:
ზღვები – ცრემლია
კაცობრიობის,
გარსპვლავები კი – სისხლი არის
ცაზე შემსარი.

1976



პანდორას შუთი

ჩემმა დღემ სინათლედ
 მზე ამოიყვანა,
 მას ღამე უთია.
 მაინც ეს ქვეყანა,
 პანდორას ყუთია.



* * *

ქუხილს უცებ რომ ელვა გაექცა,
არავინ იცის,
რად იკინკლავებს,
ან ეხლა რატომ არიან ჩუმად.
მეტეორები თავს რად
იკლავენ,
ვარსკვლავები კი თუ რატომ დუმან.

1981



* * *

ქამს მიმწუხრისას დღე,
 დამის,
 მშობიარობას გადაჰყვა.
 მთვარე – ნავია ქარონის,
 მთიები – მკვდართა სულები,
 სადღაც მზის იქით გადაჰყავს.

1988



* * *

პოეტის გარდა იცის არავინ,
რომ საყვარელთა ხსნად და
იმედად –
ციალებს მოვარე ცას შევერცხლილი.
და ვარსკვლავები დამის
მღვიმედან –
გამოაქვთ ქარებს და ბრწყინავენ
გველის ქრცლივით.

1978



ქველი პოლიტიკი

წარღვნამდე არა,
წარღვნის წინარე,
ექვსი თუ შვიდი ათასწლეული –
ელვა გაუმტარ ნისლად ებურვის
ძველი კოლხეთი – უდიდესი არის
მდინარე,
აწმყოს,

1966



* * *

მტერმა ვეღარ ამოგლიჯა
დედა თბილისს მტკვარის ენა.
დიდი ბრძოლითა და დავით,
სანთლად ენთოთ ქრისტეს ოწმენა,
მთაწმინდას და
მამადავითს.

1982



თსევ ჭარ პლატკეთი

უხდებოდნენ მომხდურთ მკერდით,
რომლებმაც ვერ გასტეხეს!
“დრომ გასტეხა!“
ფანასკერტი,
ჯაყის ციხე,
ნარი, ოლი,
კუმი, ციხე კარტეხის.

1968



* * *

ქაოსიდან ნაშობი მზეებით და
მითებით,
ვით მირიად წლის წინათ,
თვალი ისევ გევსება.
და ოლიმპოს მთებიდან გესმის
რეკვა ზარების.
კოლხ ჰეფესტოს ნაჭედი შენი ცა
და ლექსები,
თვითონ აპოლონისგან არის
ნაზიარები.

1972




* * *

შენი ფიქრი ქორივით
დასტრიალებს ძველ კოლხეთს
და მოგესმის ყიუინა ბერძნების
და ჰუნების.

შენ ღვთის ჯილდო იუფლე –
ნაბოძები ბუნების.

1988



* * *

გადიყრანტალა ცამ წვიმა
და უცებ გადაიდარა.
ისმის გალობები დაისური.
შენ წევხარ ქვიშაზე ზღვისკარად
აგურის ისრებით —
დაისრული.

1973



* * *

გარდასულთა დარდს და წუხილს,
სიხარული მუდამ სდევდა,
გხედავ თბილისს გადათოვლილს,
მტკვარს კასპისკენ მიაქვს სევდა,
მცხეთისა და
გადათოვის.

1962



ჩასძინებიათ დღესასწაულებს

დიდ ფარსმან ქველის ცხენთა
თქარუნი,
მარსის კელიდან აწ აღარ ისმის,
მიტომ სიმბიმილს ვერსად
წავუელ.
ათასწლეულთა მტკერში და ნისლეში
ჩასძინებიათ დღესასწაულებს.

1992



ბიბანტომახია*

კოლხეთის დიდ წარსულში –
ასი ათასწლეულის
მდუმარება მარხია,
და დამეებს ათევენ:
ტიტან-გოლიათები
და მოისმის ნიადაგ
ხმა – გიგანტომახიის

1993

* გიგანტომახია (ბერძ.) – გიგანტთა ომი.



* * *

მოკვდავთ არა,
უკვდავებს,
აღარ ყოფნით მიწა და,
უსამანო სივრცე ცის
ყოფნა ღმერთთა ბრძოლაა:
ზევსისა და ქრონისის,
ბუდასი და ქრისტესი.

1968



* * *

ერთმანეთს ჩუმად ეფერებიან
 თეთრნაბდიანი მურყნარები
 ჰგვანან ფირალებს.
 შორს ჩანან მთები გადაოვლილი.
 დგას შუმოდგომა –
 მატადორივით,
 და ზამთარს ნეკერჩხლის ტოტს
 უფრიალებს.

1970



* * *

ეგვიპტე და ბაბილონი,
საბერძნეთიცაა და რომიც,
“ალბათ აღარ გაიოცებო“.
მზით მოსავდა კოლხთ ნაშიერთ.
თუ არ გჯერათ ჰკითხეთ: შლოცერს¹,
მილოს²,
ტომსონსა³ და შიერს⁴.

1968

¹ფრიდრიხ შლოცერი – გერმანია

²ედგარ მილო – შვეიცარია.

³ჯორჯ ტომსონი – ინგლისი

⁴ნ. შიერი – აშშ



* * *

მიღიონი წელია,
ლეგენდებს რომ მიბელავ
და გზას მაინც ვერ ამთავრებ.
უხმობ რეა-კაბელას,
ვით დმერთების დედა-მთავარს.

1998



შვიმა, ქარი, მზე და მთვარე

რომ დაჟქრის და დაგრიალობს,

მკვდართა სული –

არის ქარი.

წვიმა ვარდთა ფერს ასველებს.

დღისით – მზეა,

ღამით – მთვარე,

ღვთის ჭიშკარში შესასვლელი.

1982



პ რ ე ჭ ე ბ ი

„ჩვენ პოეტები ციდან ვეშვებით“.

გ.ლეონიძე

როდესაც შეწყდა წვა და ქაოსი,
სიცოცხლე ქვეუნად იშვა
იმწამსვე.
და ის პირველი კოლხი იყო,
მამა უფალმა,
ვინც რომ ჩამოსვა დედამიწაზე.

1963



* * *

სივრცეს რომ აზანზარებს,

ქუხილს კი არა,

ზევსის ხმაა¹ –

სურს რომ რისხვად სამყაროს დაყაროს.

და ტანში აქრეოლებს

გეას¹ და ურანოსს².

1972

¹. გეა – მიწა

¹. ურანოსი – ცა



მზის ჩასვლა

(კარიანგი)

ჩავიდა მზე და შეაფარა თავი
ზღვის მღვიმეს,
და დღე დასტოვა სისხლდაწრეტილი.
მოვიდა ლამე
და დაუსვა ცას მთვარის მძიმე
და ვარსკვლავების მრავალწერტილი.

1962



* * *

ბალახი არა,
ისიც ცისკენ იწევს და
ილტვის,
რა საკვიროა, დამე მთიებს თესდეს
და მკიდეს.

მზეც ამოდის და...
ის მთელი დღე დაეძებს
სიკვდილს
და მიმწუხრისას, ვითარცა ჩვენ
პოულობს კიდეც.

2001



ბაზაროვები ღილგორზე

ათასწლეულებს მიაცურებენ
მოები –
ნისლების აფრიანები.
ნახეთ! – დიდგორზე ყაყაჩოები
სისხლიან დროშებს –
რა ამაყად აფრიალებენ.

1991



* * *

ასე ყოფილა მოკვდავთა ხვედრი...
მგელი მგლობას კი
აროდეს იშლის.
სიკვდილიც ასე: უჩუმრად მოდის –
გლოვით,
ერაურით,
ცრემლით და ვიშით,
და მხრებით მოაქვს ჯვარი და ლოდი.

2001



* * *

მეზობელი მეზობელს და,
ძმა ძმას ვეღარ შევაყვარე,
თუმც ტაძარი ვაგე ასი
და ამიტომ ეს სამყარო,
თავლა არის
ავგორები.


1993



ს ა მ შ ვ ი ლ დ ე ბ ი

მოგონებებს ყვავ-ყორნებად,
სანამ ქარი აშლიდეს,
სანამ ვხედავ მტერ მორეულ
სამდერეთს და
სამშვილდეს,
ან მე,
ანდა ჩემს ორეულს,
ნება რა დაამშვიდებს‘

1964




* * *

ასეა —

თურმე წუთისოფელი,
სიცოცხლეს წამით გაიქილიკებს,
ჩუმად იღება ცათა კარები.
და დღე ყოველი დამის ბილიკით,
გვლავ წარსულისკენ
მიიპარება.

1986



პ რ ე ტ ი

დაჰყურებს დაბლა ქუჩას,
სცემს ფანჯარასთან ბოლთას.
დუმილს ბოლო არ უჩანს
და მიდის ბრძოლა ორთა:
— ყოფნა!!
არყოფნა!!
ძალა,
არ აქვს სოფელთან დავის!
გულში რაღაც მალავს,
გაჲ!
თუ მოიკლას თავი.

1994

* * *

ჯოჯოხეთის ბჭესთან,
არ ანათებს მნათი,
სადღაც,
გიღაცა გოდებს:
— დავიწყება ათოვს,
ადამის ძის ცოდვებს.

1996



გეას, პოსტილის, ანტეონის

ბერძნული მითების კარები –

გააღო

და ისევ მოხურო,

დამეები უნდა ათენო.

და სული ჩაუდგა კოლხეური:

გეას,

პოსეიდონს და

ანტეოს*.

1961

*ანტეოსი (ბერძ.) – გეპას (მიწის ქალღვთაების),
პოსეიდონი – (ზღვის ღმერთის) ვაჟი.



მთვარის სონატა

(გარიანტი)

ზღვის ფსკერიდან ქარიშხლები,
სანამ ჩუმად აიშვებენ,
მხენელილ ტყვედქმნილ
მონათა.
ქარი ზვირთთა კლავიშებზე
უკრავს „მთვარის სონატას“.

1961



მეტვები, ნარიყალა, თბილისი

დუმს მეტეხი...

ნარიყალა,

წარსულშია გარიყული,

მტკვარს ზეირთები ხეოქავენ.

და... თბილისი არის გული,

ქუჩები კი ძარღვებია,

სიყვარულით მფეოქავი.

1971



* * *

ისინათლა,
გაქრა ბნელი,
მიწის შვილი ცისკენ ილტვის...
გაჲ, თუ მზემ არ მიიქაროს.
ღამეს მოვარე რომ ჰყიდია,
ცალი ფრთა იქაროსის.

1962



პელტები და ბასკები

პირინეის კუნძულებს
სული კოლხ-იბერების,
კვლავ ზღვასავით ასკდება.
დასცინიან სიბერეს
პელტები¹ და ბასკები².

1964

1,2 – ქართველთა მონათესავე ტომები.



1961 მზის ჯმერთ პელიოდის

წარსულიდან ქარს მოჰკონდა,
 სინარნარე ტკბილ-კოლხური,
 ენათა და კილო-კავთა,
 ცა ბრაზობდა და ვარდისფერ
 ელვის ტუჩებს ილოკავდა:
 არაფერი არ ესმოდა,
 სინათლით და ბნელით მოსილს,
 რადგან სრულად დავიწყოდა
 ენა,
 მზისღმერთ პელიოდის.

1964



ს მ ხ ა ნ ა

მოსვლა წუთისოფელში,
რომ არასდროს ენანათ,
ძველად კოლხ-პელაზგები
უგალობდნენ მუხლ-მოყრით
უფალთ-უფალ
ნ ე ნ ა ნ ა ს.

1966



* * *

ვარსკვლავთა ნაკვერცხლებით,
დილამდე ჩუმად თბება
მთვარე –
მგოსანთა მუზა.
და... დაფეხვილი მთები –
ჩანან სიკვდილის კუზად.

1967



* * *

„ნუ შეიყვარებით წუთისოფელს“.

(მათგ. 2,24).

და ბოლოს ისიც კი წავიდა მარილზე,
სიცოცხლეს,
ვინც ღამე უთია
და მიჰყვა სამარის ქარამდე.
რა არის აქ ყოფნა!
იგი ხომ წუთია,
გიყვარდეთ არყოფნა –
ცასავით მარადი!

1990



ერთი ზეორთი

ქარის ნათქვამს თუ ყურმოკრულს
ერთი ზეორთი ჰყვება ამბავს:
— ღრუბლებისგან ცამ,
ვით შობა.

ზღვას აცვია სიფრიფანა
ნისლის კაბა
და ამშვენებს ქაფის ქობა.

1971



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
პირამიდები	25
საოცრება	26
*** დრო მოვა და	27
ბოლნისს – დმანისს	28
მთვარის გარდაცვალება	29
მოხვია	30
შიში	31
ისევ თოლიები	32
ანიდან – ჰოემდე	33
*** დრუბლებს შეფარებული	34
მექაცა და მედინაც	35
ისევ კავკასიონი	36
* * * ძვალი და ტყავი	37
ვით იანუსი	38
ალბათ სააკაძე	39
* * *	40
ბროწეულის ხე ციხის გალავანზე	41
ისევ იღოსი	42
მთვარეს აითაიგულებს	43
* * * ბაბილონი	44
მთვარე – აიგების სასახლე	45

* * * ასეა ახლაც	46
* * * გაჩენის დღიდან ჩამესმოდა.....	47
* * * ქუხილის ხმაზე	48
* * * უფლისაგან ნაბოძები	49
* * * ქარის კალთით მოტანილი	50
* * * წყალიც ძილად იურვის.....	51
* * * სიმყუდროვიდან მზის ნაბიჯები ...	52
* * * ასე ყოფილა	53
ათონში.....	54
* * * მიწაზე არა.....	55
კიპარისები	56
მიტომ ახლო მიხველ ღმერთთან.....	57
* * * რქებზე მზე დანთებულები.....	58
* * * ხალიბების ქურაში.....	59
ცა – ვარსკვლავების ქვიშის საათი.....	60
ხილვა: უტურფურსი	61
* * * უსამანო სივრცეებში	62
* * * ბიბლიიდან ხმა ისმის გოდების....	63
თიბილ–ტაბულ–ტიბარები	64
* * * ხელთ უჭირავს მთვარის წიგნი	65
დამშვიდება.....	66
ცა – ვარსკვლავების არის საფლავი.....	67
* * * ბევრმა მძვინვარე ათასწლეულმა	68
აიეტი და იაზონი.....	69

* * *	შემქრთალი ელვა დახტის.....	70
* * *	მებმა როდესაც გადაიგრგვინა.....	71
* * *	სიშორის იქით	72
ჩარგალში	კოპალას ქვასთან.....	73
ლაზარე	74	
სტრაბონი	75	
* * *	წვიმა წვრილი და გრძელი თითებით	76
* * *	უფლის ხელით დაკეტილი	77
აგრაფინა	78	
* * *	დღე-ნიადაგ მასზე მლოცველს	79
შურის ციხე	80	
მზე და მთვარე	81	
* * *	მარტი მიიპარება	82
ეგრისის მთები.....	83	
* * *	შენი ხმა ელვად უვლის სამყაროს	84
მე და შავი ზღვა.....	85	
* * *	ათასწლეულების მერეც	86
ვირა კოჩა	87	
* * *	მწუხერიდან – დილამდე ამოსული.....	88
* * *	სიყვარულის ხომალდზე	89
გიგანტების მხრებზე ვდგავარ	90	

დაჩის	91
* * * ეს ლამაზი ცხოვრება.....	92
მარები, მაკრისები და მაკრალები	93
* * * მთები ფეხისწვერზე დგანან.....	94
9 აპრილი	95
იკაროსი.....	96
* * * შაოსან ღრუბლებს ზღვასთან უცდიდა.....	97
* * * ხსოვნას გფიცავარ დედის და.....	98
* * * ვით დღე და დამე დასალიერთან.....	99
ზღვა და თოლიები.....	100
წარწერა საფლავის ლოდზე.....	101
* * * ათასწლეულთა უღრანებიდან	102
* * * ოუმცა დაბერდა მთვარე	103
უნგრეთში.....	104
* * * დამეულ ფსკერზე ძილად მიყრილებს	105
* * * ძეო ადამის!.....	106
აპრილი კოლხეთში.....	107
* * * ადარ სურს ნახვა	108
* * * მარტო ფხოვში კი არა.....	109
* * * შენი მარჯვენა ხელისგულიდან....	110
ხილვა: მთები ხერმონ-თაბორის	111

ო ნ ი ს ი მ ე.....	112
ხევსურეთის დამე	113
ხილვა – მედეა-აფსირტე, აიეტი.....	114
თოლიების ფოთლები.....	115
თარი; თური	116
შურის შავი ფარდები	117
* * * მზე რომ დატოვებს თავის საუფლოს	118
განთიადი სოფელში.....	119
აჩხურის და ამონის.....	120
* * * უსამანო სივრცეებში ფრთების	121
* * * გასცქერი კოლხეთს აიეტივით.....	122
* * * ათას ქარ-ცეცხლ გამოვლილი.....	123
* * * გადიდებ და გაღმერთებ.....	124
ხეთი, ხათი და ალიბი	125
ბატი და გედი.....	126
* * * ზოგ ცოდვილს მდუღარე ჯუპრი, და.....	127
ძე ადამის	128
სული ბექირის და ბიძირის.....	129
ამინდის უეცარი შეცვლა ზღვაზე.....	130
* * * გარსკვლავთა ზოდებით	131
* * * მზის და მთვარის თვალება	132
* * * ადარსად ჩანდნენ ალბატროსები.	133

* * *	ლამის საყდრულ სიჩუმეში	134
* * *	ათასეულ წლის წინათ.....	135
* * *	მიღიონი წელია	136
ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს.....		137
* * *	ამირანის ცეცხლი გბუგავს.....	138
* * *	შემოდგომის ფოთლების სიყვითლე.....	139
* * *	მიმწუხარიდან დილამდე.....	140
* * *	ნიღოსთან	141
პოეზიის კალეიდოსკოპი		142
რემისა და რომულის.....		143
* * *	გაზაფხულის მოლივით	144
* * *	ლამის ცაზე რომ ჰკიდია	145
* * *	ქალი არა.....	146
განხეთქილების ვაშლი		147
* * *	ახლა კი არა.....	148
„იულიუსი-ივლისი“		149
კოლხური დამე		150
* * *	თავგამეტებით რომ მისდევენ აქალს	151
* * *	ლეგენდიდან გადმოსული	152
* * *	სივრცეების აიგნიდან	153
* * *	მოვარდა და ქარიშხალმა	154
* * *	ასი ათასი წელი გავიდა	155

ზღვა და კლდე.....	156
ხილვა: მომღერალი ქოლხი.....	157
* * * დამის მიღმა	158
* * * ერთი ვარსკვლავიო სადღაც	159
* * * სასთუმლად უდევთ მთვარის ბალიში.....	160
წარსულის იქით	161
* * * ტყიდან მოზოზინე ნახირს	162
ვით ჰევესტო.....	163
ქ ი ნ ქ ლ ა.....	164
მთვარე, ვით ბეთხოვენი	165
შეხედეთ ეგვიპტეს	166
მთვარე ნავია ქარონის	167
ზღვა და ქარიშხალი	168
* * * ახლა უამთა ხავსი ფარავო	169
* * * ადიდებული მდინარეები	170
ე თ ე რ ი.....	171
* * * ვითარც სიყმაწვილისას.....	172
დამის მსახური	173
* * * ყიყინებს ნათელს მთიების მყვარი	174
* * * ანგელოზების თავის ქალებია	175
* * * წამს გაიდება წარსულის კარი.....	176
* * * ელვის ბილიკით ჩამომდინარი	177

* * * სამშობლოს მტრებს და	
ორგულებს	178
კომეტებს და კვაზარებს.....	179
ხილვა: წარმართები მცხეთაში.....	180
მზის ამოსვლიდან – ჩასვლამდე.....	181
* * * მამლის ყივილი მილეულ დამეს..	182
ტირიფები	183
* * * შენ მეოცედან მოხველ	184
გარსპლავები – უფლის კარვებია	185
* * * ღრუბლების ურდომ გამთენისას	186
* * * ხევნება ოქროს საწმისის	187
მ ა რ ტ ი	188
* * * როგორც ზღაპარში გველეშაპმა..	189
* * * ჩემი ყოფნის ცის ტაძარში.....	190
ა ნ ა ტ ო ლ ი ა	191
* * * ხობისწყლის პირს ჭალას დამბა..	192
* * * ჟორს	193
ხილვა: გორგონა მედუზა.....	194
საჯილდაო ქვა	195
ე ლ ვ ა	196
პ ო ს ე ი დ ო ნ ი	197
* * * წვანან ღრუბლების შავი	
ლოდები	198
ხილვა: ბ ა ვ შ ვ თ ბ ა	199

* * *	რომ მიცურავს ცის ოკეანეში.....	200
	როგორც იობი.....	201
	პანდორას უუთი	202
* * *	ქუხილს უცებ რომ ელვა გაექცა.....	203
* * *	ჟამს მიმწუხერისას დღე.....	204
* * *	პოეტის გარდა იცის არავინ	205
	ძევლი კოლხეთი.....	206
* * *	მტერმა ვეღარ ამოგლიჯა.....	207
	ისევ ტაო კლარჯეთი.....	208
* * *	ქაოსიდან ნაშობი მზეებით და.....	209
* * *	შენი ფიქრი ქორივი	210
* * *	გადიყრანტალა ცამ წვიმა.....	211
* * *	გარდასულთა დარდს და წუხილს	212
	ჩასძინებიათ დღესასწაულებს	213
	გიგანტომახია.....	214
* * *	მოკვდავთ არა.....	215
* * *	ერთმანეთს ჩუმად ეფერებიან	216
* * *	ეგვიპტე და ბაბილონი	217
* * *	მილიონი წელია.....	218
	წვიმა, ქარი, მზე და მთვარე	219
პ თ ე ტ ე ბ ი	220	
* * *	სივრცეს რომ აზანზარებს	221
	მზის ჩასვლა.....	222

* * *	ბალახი არა.....	223
	ყაყაჩოები დიდგორზე.....	224
* * *	ასე ყოფილა მოკვდავთა ხვედრი.....	225
* * *	მეზობელი მეზობელს და.....	226
	ს ა მ შ ვ ი ლ დ ე შ ი.....	227
* * *	ასეა	228
	პ ო ე ტ ი.....	229
* * *	ჯოჯოხეთის ბჯესთან.....	230
	გეას, პოსეიდონს, ანტეოსს.....	231
	მთვარის სონარა.....	232
	მეტები, ნარიყალა, თბილისი	233
* * *	ისინათლა	234
	კელტები და ბასკები	235
	ენა მზის ღმერთ ჰელიოსის	236
	ნ ე ნ ა ნ ა	237
* * *	ვარსკვლავთა ნაკვერცხლებით	238
* * *	„ნუ შეიყვარებო წუთისოფელს“	239
	ერთი ზვირთი	240

2. December 18



2020.6.

ვაჟა ებრისელი

პოლჩური ფსალმუნები

100 ფორად
ფომი 54

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHISALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 54

- გამომცემლობის
რედაქტორი – ჭრილონ ხშეშა
მხატვარი – სპარსაძე ციცაძე
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი – ნანა დუმბაძე
კორექტორი – ნანა და დათო შადეაშვილეანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა და დათო შადეაშვილეანი

გამომცემელი – ზურაბ დოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com